

1977 20
ჩ ვ ე ნ ი

თაკობა

სახელმწიფო გამომცემლობა

6

ჩ ვ ე ნ ი თ ა ო ბ ა

074
31

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო



თ ბ ი ლ ი ს ი
1 9 3 8

№ 6
ივნილი

შინაარსი

20

ა. სტალინი — სიტყვა, წარმოთქმული უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრებულში 1938 წელს 17 მაისს	3
---	---

მხატვრული ლიტერატურა

ვლ. სულაბერიძე — სალამური	6
შალვა ამისულაშვილი — წერილი მეგობარს	8
ლავრენტი ჭიჭინაძე — მე თვითონ წავიკითხე	9
გრიგოლ ჩიქოვანი — იონა ყორშია	12
შირზა გელოვანი — აონი	15
გაბრ. ჯაბუშანიური — არაგვიანი	29
რევაზ მარგიანი — დღეები ბალყარეთში	31
კონსტანტინე გამსახურდია — მედალიონები	33

თანამედროვე საბჭოთა პოეზია

ლ. დეისაძე — მსოფლიო ომის პრობლემა გ. ტაბიძის პოეზიაში	38
--	----

*

* *

ნინო დავითაშვილი — მოგონება ლადო მესხი-შვილზე	53
აპოლონ მახარაძე — შინაური სალამო-წარმოდგენები მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში	57

პ/მ რედაქტორი ირაკლი აბაშიძე

პ/მ მდივანი ნიკა ავიაშვილი

მ. ს ტ ა ლ ი ნ ი

**სიტყვა, წარმოთქმული უმაღლესი სკოლის მუშაკთა
მიღებაზე კრებულში
1938 წელს 17 მაისს**

ამხანაგებო!

ნება მომეცით წარმოვთქვა სადღეგრძელო მეცნიერებისა, მისი აყვავებისა, მეცნიერების მუშაკთა ჯანმრთელობისა.

მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერების, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალხისით. (ტაში).

მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერებისა, რომელიც თავის ძველ და აღიარებულ ხელმძღვანელებს საშუალებას არ აძლევს მეცნიერების ქურუმთა ნაჭუჭში, მეცნიერების მონოპოლისტთა ნაჭუჭში თვითკმაყოფილებით ჩაიკეტოს, რომელსაც ესმის მეცნიერების ახალგაზრდა მუშაკებთან მეცნიერების ძველ მუშაკთა კავშირის აზრი, მნიშვნელობა, ყოვლისშემძლებლობა, რომელიც მეცნიერების ყველა კარს ნებაყოფლობითა და ხალხისით უღებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ძალებს და შესაძლებლობას აძლევს მათ დაიპყრონ მეცნიერების მწვერვალები, რომელიც სცნობს, რომ მომავალი ეკუთვნის მეცნიერ ახალგაზრდობას. (ტაში).

მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერებისა, რომლის მუშაკებს, ესმით რა მეცნიერებაში დამკვიდრებულ ტრადიციათა ძალა და მნიშვნელობა და ოსტატურად იყენებენ რა მათ მეცნიერების ინტერესებისათვის, მაინც არ სურთ იყენენ ამ ტრადიციათა მონები, რომელსაც შესწევს მამაცობა, გამბედაობა დაამსხვრიოს ძველი ტრადიციები, ნორმები, მიზანდასახულებანი, როდესაც ისინი მოძველებული ხდებიან, როდესაც ისინი წინსვლის მუხრუჭად იქცევიან, და რომელსაც შესწევს უნარი შეჰქმნას ახალი ტრადიციები, ახალი ნორმები, ახალი მიზანდასახულებანი. (ტაში).

მეცნიერებამ თავის განვითარებაში ცოტა როდი იცის მამაცი ადამიანები, რომელთაც შესწევდათ უნარი დაემსხვრიათ ძველი და შექმნათ ახალი, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მიუხედავად ყველაფერისა. მეცნიერების ისეთი ადამიანები, როგორც არიან გალილეი, დარვინი და მრავალი სხვა, საყოველთაოდ ცნობილი არიან. მე მინდა შევჩერდე მეცნიერების ერთერთ ასეთ კორიფეიზე, რომელიც ამასთან ერთად თანამედროვეობის უდიდესი ადამიანია. მე მხედველობაში მყავს ლენინი ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი აღმზრდელი (ტაში). მოიგონეთ 1917 წელი. რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, საერთაშორისო მდგომარეობის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ლენინი მაშინ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობიდან არის სოციალიზმის გამარჯვება რუსეთში. ეს მეტად მოულოდნელი დასკვნა იყო იმდროინდელი მეცნიერების მრავალი წარმომადგენლისათვის. პლექხანოვი, მეცნიერების ერთერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, ზიზლით ლაპარაკობდა მაშინ ლენინზე, ამტკიცებდა რა, რომ ლენინი „ჰბოდავს“. სხვები, მეცნიერების არანაკლებ ცნობილი წარმომადგენელი, ამტკიცებდნენ, რომ „ლენინი გაგიჟდა“, რომ საჭიროა მისი რაც შეიძლება უფრო შორს გადაკარგვა. ლენინის წინააღმდეგ ღმულოდნენ მაშინ მეცნიერების ყველა და ყოველგვარი ადამიანები, როგორც ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ანგრევს მეცნიერებას. მაგრამ ლენინს არ შეეშინდა წასულიყო მდინარების წინააღმდეგ, უძრაობის წინააღმდეგ. და ლენინმა გაიმარჯვა (ტაში).

აი ნიმუში მეცნიერების ადამიანისა, რომელიც გაბედულად იბრძვის მოძველებული მეცნიერების წინააღმდეგ და გზას უკაფავს ახალ მეცნიერებას.

ისედაც ხდება, რომ ზოგჯერ მეცნიერებას და ტექნიკას ახალ გზებს უკაფავენ არა საყოველთაოდ ცნობილი ადამიანები მეცნიერებაში, არამედ მეცნიერულ სამყაროში სრულიად უცნობი ადამიანები, უბრალო ადამიანები, პრაქტიკოსები, საქმის ნოვატორები. აქ საერთო მაგიდას უსხედან ამხანაგები სტახანოვი და პაპანიინი. მეცნიერულ სამყაროში უცნობი ადამიანები, რომელთაც არ მოეპოებათ მეცნიერული ხარისხები, თავისი საქმის პრაქტიკოსები. მაგრამ ვინ არ იცის, რომ სტახანოვმა და სტახანოველებმა თავის პრაქტიკულ მუშაობაში მრეწველობის დარგში გადააყირავეს არსებული ნორმები, დადგენილი მეცნიერებისა და ტექნიკის ცნობილი წარმომადგენლების მიერ, როგორც მოძველებული და შემოიღეს ახალი ნორმები, რომლებიც შეესაბამებოდა ნამდვილი მეცნიერე-

ბისა და ტექნიკის მოთხოვნებს? ვინ არ იცის, რომ პაპანინმა და პაპანინელებმა თავის პრაქტიკულ მუშაობაში მოდრეიფე ყინულზე გზადაგზა, განსაკუთრებული შრომის გაუწევლად, დააყირავეს ძველი წარმოდგენა არქტიკაზე, როგორც მოძველებული და შეკქმნეს ახალი, რომელიც შეესაბამება ნამდვილი მეცნიერების მოთხოვნებს? ვის შეუძლია უარპყოს, რომ სტახანოვი და პაპანინი არიან ნოვატორები მეცნიერებაში, ჩვენი მოწინავე მეცნიერების ადამიანები?

აი კიდევ რა „სასწაულები“ ხდება მეცნიერებაში.

მე ვლაპარაკობდი მეცნიერებაზე. მაგრამ მეცნიერება ყოველნაირია. იმ მეცნიერებას, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, ეწოდება **მოწინავე მეცნიერება**.

ჩვენი მოწინავე მეცნიერების აყვავებისათვის!

მოწინავე მეცნიერების ადამიანთა დღეგრძელობისათვის!

ლენინისა და ლენინიზმის დღეგრძელობისათვის!

სტახანოვისა და სტახანოველთა დღეგრძელობისათვის!

პაპანინისა და პაპანინელთა დღეგრძელობისათვის! (ტაში).

მხაგვრული დიგერაგურა

ვლ. სულაგერიძე

სალამური

მთებმა აწოვეს შარბათი ტკბილი,
მას ტბის წამწამად ნიავექარი არხევდა მშვიდად,
ნამდაფრქვეული მოვჭერი დილით
და სალამურად გამოვთალე ლერწამი წმინდა.
ნამი დასცვივდა, მაგრამ არ ვიცი
ეს ცრემლი იყო

მწუხარების თუ სიხარულის?!

სთქვა მხოლოდ:

„ — გაზრდილს მეც შენი მიწით
მინდა მომედოს შენი ცეცხლი მარადუამული“.
და შემდეგ ერთად ვუმღერით ამ მთას,
და ასე ვფიქრობ:

ეს ჩემი ხმა მთელ სოფელს ესმის,
მას ვერ გაბზარავს დინება ჟამთა,
შერჩება მარად ვაჟკაცური ძალი და ეშხი.
და, ჩემო კარგო, ამ ლერწამს ახლა
ხმასავით გაძლევ ჩემს დეპუტატს მხურვალე განცდით.
როს ხშირად ხელში აიღებ, ნახავ,
მეც მომიგონე და ეს ჩემი ძვირფასი განძი.

მეც მომიგონე, ჩაჰბერე ხელად,
რომ ამოქუხდეს დიადი ხმა ლერწმის ლეროდან.
და როცა შეხვდე უთხარი ბელადს:

— „ამ სალამურით მთას მწყემსითქო შენზე
მღეროდა.“

უთხარი ასე სამშობლოს მნათობს,
უთხარი კიდევ,

რომ პირველად ეს ხმა მისია.
მას გაზაფხული აყდერებს, ათბობს,
იგი ბელადთან უქრობი და მარადისია.

ახლა ამ ლერწამს შენ გაძლევ, აპა,
ხმასავით გაძლევ ჩემს დეპუტატს მხურვალე
განცლით,
როს ხშირად ხელში აიღებ, ნახავ,
მეც მომიგონე
და ეს ჩემი ძვირფასი განძი.

წერილი მემოზარს

მიდიან დღენი...
 ერთად ვხვდებით დაჭარმაგებას, —
 შევეტრფით გაზაფხულს
 ბედნიერი ქვეყნის მგზავრები;
 ჩვენ არ გვჭირდება
 გზების პონა, გზების გაგნება, —
 ჩვენ ერთი გზა გვაქვს —
 მოქარგული ფერად ვარდებით!..
 არ გვიგემნია
 ქარბუქიან ქარიშხლის გრგვინვა,
 აპრილის თვეში
 გავახილეთ ნორჩი თვალები.
 ჩვენს ნააკვნარზე
 სამაისო სიცოცხლე იდგა,
 წუთიც არ გვახსოვს —
 ბედჩამქრალი, გაუხარელი!..
 დავალ ჭაბუკი,
 სიამაყით გიგონებ ყველგან
 სიყრმის მემოზარს,
 და ნიადაგ მტკიცე ბოლშევიკს!
 ყამირებს არღვევ,
 სადაც უწინ ყოფილა დელგმა, —
 და ტყვიის ჩქამში
 დარღვეულან ციხე-კოშკები...
 დღესაც მომესმა
 შენი ქება, შენი გმირობა, —
 და მალე ალბათ
 გინახულე, როგორც დეპუტატს!
 ჩამოხვალ... იგრძნობ —
 საქართველოს მხარგაშლილობას, —
 და გეტყვი: ოფლი
 მარგალიტად როგორ შედუღდა!..

მე თვითონ წავიკითხე

სოფლის ბოლოზე, წისქვილთან, რამდენიმე ურემი იდგა. ურემის ქლებზე აქეთ-იქით ხარები იყო გამობმული, თვალეზანუჭულეები ზარმაცად იცოხნებოდნენ. ხაჩნაჩა წყალი უხუილით ჩარბოდა დაკიდებულ ღარებში. წისქვილში ხუთი ქვა ითხრიდა თვალს, დიდი გამაყრუებელი ხმაური ისმოდა.

მესაფქვავე კოლმეურნენი წისქვილიდან ცოტა მოშორებით გამოსულიყვნენ. ისინი ვეება კაკლის ქვეშ იხდნენ მწვანე მოლზე და მუსაიფობდნენ. მეც იმათ ჯგუფს შევეუერთდი: წამოცვივდნენ ახალგაზრდები. ისეთნაირად აიშალნენ, თითქოს მე კი არა, ვილაც დიდი კაცი მოვიდაო. ჩამისვეს შუაში და ყველამ მე დამიწყო ლაპარაკი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, სულ ჩემ ხელში გამოზრდილი ბიჭები აღარ მასვენებენ. ზოგიერთის სახელიც არ ვიცოდი. ისინი კი, ოო, რა თავაზიანად, რა მოფერებით მელაპარაკებოდნენ:

— ზაქარია ბაბუა, ახლა ვილას აირჩევ ყუთთან მისაყვანად, ვის ენდობი? — ამ სიტყვებს მეუბნებოდნენ ყოველი მხრიდან.

გავვოცდი.

— რომელ ყუთზე ლაპარაკობთ? — ვიკითხე ცოტახნის შემდეგ.

— ბაბუა, აი, საქართველოს ს.ს.რ უმაღლეს საბჭოს რომ ვიჩრჩევთ.

ახლა კი გამეცინა. მე ვიცინოდრი, ხოლო ბიჭები გაცეცებული თვალეზანუჭულეებით შემომტყუროდნენ. მათ არ იცოდნენ ჩემი სიცილის მიზეზი. მერე კვლავ ღიმილითვე მივმართე მათ:

— როგორ, თქვენ ხომ არ წამიკითხავთ?

— რატომაც არა, ბაბუა! — რამდენიმე ბიჭმა ერთხმად მომაძახა.

— თქვენ რად შეგაწუხებთ, მე ვერ წავიკითხავ თუ?! — თავმომწონედ ვთქვი და ჩემს თეთრ, გაფოფრილ წვერზე ამაყად ჩამოვისვი ხელი.

ყმაწვილები არ მიჯერებდნენ:

— რას ლაპარაკობ, ზაქარია ბაბუა, ოთხმოც წელიწადში ვერ გისწავლია წიგნი და ახლა, ასე უცებ როგორ ისწავლე?

— მართლა ხუთი თვე იქნება, ბიჭო, იცი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს რომ ვირჩევდით, მაშინ ზაქარიას უთხრეს: შენ ვის დაიხმარ ხმის მიცემაშიო, ვის უფრო ენდობიო? ამანაც მიიხედ-მოიხედა, ყველას გადაავლო თვალი. შენ მოდი, შვილო, დამიძახა მე. ამ ნდობამ გამახარა. გამოვართვი ბარათი, კანდიდატის გვარი და სახელი წაფუკითხე. ოჰო, ამ კაცზე ბევრი კარგი გამიგონიაო, ჭიათურის მალაროში საუკეთესო მწერეველიაო. ეგ ალბათ არც ჩვენს მტრებს დაზოგავს დასანგრევადო. ჩემი ხმა სწორედ ამ საიმედო კაცს უნდა მივცეო, თქვა და კონვერტი ყუთში ჩაუძახა. მას შემდეგ ხომ მართლა ხუთი თვეა...

ეს მეორე ახალგაზრდა ზღაპარით მოყვა ჩემს ამბავს. ისე ვუგდებდი ყურს, ვითომ სხვის ამბავს ვისმენდი.

— თვითონ, რომ წავიკითხო?! — ისეთნაირად წამოვთქვი ეს ნიტყვები, თითქოს თუ წავიკითხავდი, ჯილდოც კი უნდა მოეცათ ჩემთვის.

გაკვირვებულმა ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს.

— სასწაული იქნება! — წამოიძახეს ერთად.

— სასწაული კი არა... მომიტანეთ გაზეთი! გაზეთი!

ახალგაზრდები მაშინვე დაფაცურდნენ, გაიქც-გამოიქცნენ, და უცებ გააჩინეს გაზეთი. გაშალეს, დაათრიალებდნენ, რაღაც დიდი ყურადღებით ათვალთვლებდნენ გაზეთის გვერდებს.

— რა მაგდენი ძებნა უნდა, ამ დიდ ასოებს თუ გამოიცნობს, ესეც დიდი ბარაქა იქნება, — თქვა ერთმა და გაზეთი თვალთან ახლოს გამიჩერა. თავი უკან გადავსწიე, ხოლო მკლავები წინ წავივრძელე და თვითონ წავიკითხე „კომუნისტი“, მერე წერილიც მივაყოლე.

გაოცებული თვალებით შესცქერდნენ ყმაწვილები ერთმანეთს. ეს ზაქარიაა თუ სხვა კაციო, ისინი ჩუმად ლაპარაკობდნენ. ბოლოს ერთმა ახალგაზრდამ მთხვავა:

— ზაქარია ბაბუა, მოდი გვიამბე, ამ ოთხმოცი წლის კაცმა, როგორ ისწავლე კითხვა, ვინ დაგაინტერესა?

— ცხოვრებამ... თორმეტ დეკემბერს ადრე გავსწიე საარჩევნო იდგილისკენ, მზე ახალი ამოწვერილი იყო. დიდი ზემის ელფერი ედო ყველაფერს. ხალხი იდგა ჯგუფჯგუფად, იყო სიცილი, ხუმრობა. ზოგს გიტარა ეჭირა ხელში, ზოგი დოღს აბრახუნებდა. იქით მეჩონგურე გოგოები ერთად შეკრებილიყვნენ, უკრავდნენ და ამღერებდნენ საამური ხმით:

ცაზე მთვარე ამოვიდა,
ნიშანია დარისაო!

კოლექტივი გაძლიერდა,
გაძარჯვება სტალინსაო!

მაგრამ ყველაზე მეტი ახალგაზრდები მედოლესთან იყვნენ მოგროვილი. მათ დიდი წრე გაეკეთებიათ, იყო გახურებული ცეკვა, ახალგაზრდები სულ ფეხის ცერებზე დაცოცავდნენ. ერთიმეორეს მოსდევდა წითელი ლენტებითა და დროშებით მორთული ლამაზი ავტოები: მოაქროლებდნენ ამომრჩევლებს: ხნიერ კაცებსა და ქალებს. ყუთთან სანამ მივიდოდი, ჩემი ბარათი სხვას წავაკითხე. გული დამწყდა, ყველა თვითონ კითხულობდა, მე კი სხვისი თვალებით ვაკეთებდი საქმეს. ამის გამო სიმართლე გითხრათ საკუთარი თავის უკმაყოფილო ვიყავი. სახლში მისვლისთანავე ჩემს შვილისშვილს დავუძახე.

ამ საზეიმო დღეს ისიც კეკლუცად იყო მორთული. სიცილით მოცუნცულდა ჩემთან. გიგლა, ჩემო ბაბუკელა მეტქი, მივმართე მოფერებით, შენ ახლაც კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ მერე კიდევ უფრო უკეთესი იქნები, თუ მეც წიგნს მასწავლი მეტქი.

— ბაბუ, — შემომძახა აღფრთოვანებით, — ოღონდაც, ოღონდაც ისწავლე და...

სახლში შეირბინა, სულ გადმოანგრია თავისი ძველი წიგნები. იქიდან ერთი ამოარჩია. ალბათ ყველაზე უკეთესი. ჩამოჯდა მუხლებთან, მიკითხავდა და მიკითხავდა. მერე როგორ უხაროდა ხოლმე, როცა უცნობი ასოებიდან ნაცნობს ამოვარჩევდი. იმის ცინცხალ, შექურა თვალებიდან უდიდესი სიხარული იფრქვეოდა. ან რატომ არ გაეხარებოდა, როცა შვილიშვილი ბაბუას მასწავლებელი გახდა. ჩემი შვილი კი მეხუმრებოდა:

— ოთხმოცი წლის კაცი რომ ანბანის სწავლას დაიწყებს, იგი საიქიოში წერილებს დასწერსო.

ამ ხუმრობაზე ყველა ვიცინოდით, მაგრამ წიგნს მაინც არ ვემვებოდი...

ჩემისთანა მოხუცისთვის სწავლა გვიანია, მაგრამ მინდოდა მომავალ არჩევნებს მომზადებული შევხვედროდი. ვხვდები კიდევ წავიკითხავ სახელოვანი ადამიანის გვარებს, ახლა სხვისი დახმარება აღარ მჭირდება, თუ საქმემ მოითხოვა, ჩემს არჩეულ დეპუტატს წერილსაც მივწერ...

იონა ყოვშია

ზაფხულის ნისლიანი სადამო იყო. საძოვრებიდან დაძრული საქონელი ქალაზე მოდიოდა. აქა-იქ ისმოდა ძროხის კისერზე დაკიდული ზარების წკრიალი და ბუდების ყინმორეული ბღავილი.

ფერდობზე გაშლილ სოფელში, მუხის ძელებისაგან შეკრული ერთთვლიანი ოდის აივანზე მოხუცი თოხის ტარს თლიდა. კველაზე წამომჯდარს, წინა კბილებით მოკლეთარიანი ყალიონი ეჭირა და განუწყვეტლივ წრუბავდა. მისი თოვლივით წვერი, რომელიც მოხუცის სახეს რალაც სათნოების იერით მოსავდა, ტუჩის კვამლისაგან შეჭვარტლულიყო.

მოხუცი წელში გაიმართა. წალდი კუთხეში მიაყუდა და გათლილ ტარს დახედა. რამდენჯერმე შეატრიალა, ასწონ-დასწონა. სახეზე ღიმილმა გადაჰკრა. ეტყობოდა, ნამუშევრით კმაყოფილი იყო. ახლოხის კალთები შეიფერთხა და ეზოში მიმოიხედა. დაცარიელებული ყალიონი კველის ძვიდეს დაჰკრა და დაცალა. პირუტყვის ბუშტებისაგან გაკეთებულ მძივებიან ქისიდან ხმელი თუთუნის ამოიღო, ხელის გულზე მოისრისა, უყნოსა და ყალიონი დატენა. მერე კვეს-აბედი ამოიღო, დიდის წვალეებით მოუკიდა აბედს და თუთუნს დაადო ზევიდან. მადიანად მოსწრუბა, შავად გააბოლა. იამა მოხუცს, თვალები ოდნავ მინაბა, ფართო შუბლი სიამით გაეშალა და სახის ნაკვთები დაუნაოჭდა.

ჯოგმა ჭამა მოათავა, სოფლის წინ მდინარეზე გამოვიდა და ფერდობს ამოჰყვა. სქელი ნისლი კვალდაკვალ მოსდევდა ჯოგს და თეთრ სამოსელში ხვევდა მიდამოს.

მთელი დღე ჩრდილში წოლით გაზარმაცებული ძაღლები ვნისით ეხმაურებოდნენ მეჯოგეების ყვირილს და საქონლის ბღავილს.

ნისლი ჭალიდან მდინარეზე გადმოვიდა; ფერდობს აეკიდა და სოფელს შემოეხვია. იონამ კველიდან წამოიწია. თემ-შარით სოფელში შემომავალ ჯოგს გახედა, რაღაც არ ეამა; შუბლი შეიკრა, სახეზე უკმაყოფილება დაეტყო. ცას ახედა.

— შავი კურო მოუძღვის ნახირს, გაწვიმდება უეჭველად; — სთქვა წყენით და ჭიშკარზე მომდგარ საქონელს მიეგება.

ლობეზე თავგადმოდებული ძროხები ძროხებს შებლაოდნენ.

— ფშიე, ფშიე — მიუალერსა იონამ საქონელს და ჭიშკარით ფართოდ გაულო. ძროხები ჯლიგინით შემოიჭრნენ ეზოში და ბოსლისკენ გაემართნენ.

— ქიჩ,ქიჩ, ქიჩ! — გასძახა იონამ თხებს.

მწკრივში ჩამდგარი თხები ადგილიდან არ იძროდნენ — თავებს თავმომწონედ აქიცინებდნენ. თხების წინ ვაცი იდგა — მაღალრქიანი, გრძელწვერა, ყელმოღერებული, თვალეზადმოკარკლული შეპყურებდა მოხუცს და წინა ფეხებს ხან ჰაერში აიქნევდა, ხან მიწას დასცემდა.

მოხუცმა შეატყო, რომ ვაცმა თავის ახირებული საქციელი გაიხსენა — გაშრა იონა, არ ელოდა. შიშისაგან მთელი სხეული მოუდუნდა, ენა დაება. ირგვლივ მიმოიხედა არავინ ჩანდა. ეზოში თეთრი ნისლი შემოდოდა და ნიავი მაღალტანიან ჭადრის ტოტებს არხევდა.

— სადა ხარ, ელპიტე, შე ცოდვიშვილო, რა ვქნა ახლა მე?! — შესჩივლა იონამ უმწეო ხმით ცოლს და ვაცს თხოვნითა და მუდარით აღსავეს თვალები შეანათა.

იონას მრავალჯერ უგემია ვაცის რქების სიძლიერე, მრავალჯერ დაუბეგვია შეუბრალებელ პირუტყვს.

ახირებული ხასიათი ჰქონდა ვაცს. წელიწადში ორ-სამჯერ მოუვლიდა უზნეო საქციელი და მისი მსხვერპლი ყოველთვის იონა იყო. უსაშველოდ გადაეკიდა მოხუცს, გასაქანს არ აძლევდა, სიცოცხლეს უმწარებდა. იონა ერთბაშად დამორჩილდა თხას — პირველ შემოტევისთანავე მოხარა ქედი, უჩვენა ზურგი და უბრძოლველად მინებდა.

თვითონაც ვერ გაეგო მოხუცს, რა ხდებოდა მის თავზე, როგორ დაიბრიყვა თხამ. იონა არასოდეს არ ყოფილა მშიშარა. ღონით და გულადობით თავის ტოლებს არა დროს არ ჩამოუვარდებოდა. ჭირში და ლხინში, ბრძოლაში თუ ქორწილში ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ ვაცმა, საკუთარმა თხამ წაახდინა მოხუცი, თხამ, რომელიც ელპიტეს ერთ შეძახილზე დამფთხალი გარბოდა. ბევრჯერ გადაწყვიტა იონამ, ვაცის თავიდან მოშორება,

მაგრამ ექვსიოდე თხის უვაცოდ დარჩენას ელპიტე ვერ შერიგებოდა. ელპიტე თხას დასაკლავად არ ანებებდა.

იონას დიდი რიდი და სიყვარული ჰქონდა ცოლის. ელპიტე ბელურასავით პატარა და ბუმბულივით მჩატე ქალი იყო. გამხდარ დანაოჭებულ სახეზე და წვრილ ცერცვისფერ თვალეში ჯერ კიდევ მოუტეხავი იერი და ახალგაზრდული სიმხნევე უკრთოდა. მოუსვენარი და შრომისმოყვარე ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი. პატივისცემა მას შემდეგ უფრო გაიზარდა, როცა ორმოცდათი წლის დედაკაცმა ჩაის კრეფაში პირველობა მოიპოვა და კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე რაიონმა დელეგატად გაგზავნა.

იონა საერთოდ ცოლის მორჩილი ქმარი იყო, ამიტომ მალე შეურიგდა თავის ბედს.

ექვსიოდე თვეა იონას ვაცი არ დატაკებია, მიწაზე არ დაცემულა, მის ბებერ ძვლებს ტკივილი არ უგრძენია, ახლა ბერიკაცს ვაცის დატაკების მოლოდინში ძვლები ისე ატკივდა და სხეული ისე აეწვა, რომ განძრევის უნარი დაეკარგა. მზად იყო ეყვირა უსაშველო ზმით, შველა ეთხოვა. არ დაეძებდა არც სირცხვილს, არც დაცინვას, ოღონდ როგორმე თავი დაეხწია საშინელი მტრის რჩებისაგან. მაგრამ საკმაო იყო მისი ოდნავი განძრევა, რომ ვაცი შურდულივით გამოქანდებოდა. ეს იცოდა იონამ და გაქვავებული შესცქეროდა დაუნდობელ და გულქვა პირუტყვს.

ერთი კარგი ჩვეულება ჰქონდა ვაცს: წაქცეულს არასოდეს არ დაეტაკებოდა. ამას იონა უკანასკნელი დატაკების დროს მიუხვდა და გადაწყვეტილი ჰქონდა მომავალში პირველ შემმისთანავე გასწოლოდა თხას.

მაგრამ ახლა შიშმა ისე დაარეტიანა მოხუცი, რომ სახლისაკენ მოუსვა. გაქცეული პატრონის დანახვაზე ვაცმა ჰაერში შეიკუნტრუშა, მერე ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს, შურდულივით გაექანა მისკენ და მთელის ძალღონით დაეძგერა ზურგში.

მოხუცი მოწყვეტილი დაემხო მიწაზე, წამსვე წამოფოფბდა, წაშოიჩოქა და გასაქცევად მოემზადა, მაგრამ ყალყზე შემდგარი ვაცის დანახვაზე გაინაბა, გაიტრუნა და უძრავი გახდა.

ვაცმა მის უკან მწკრივში ჩამდგარ თხებს გადახედა, თავი ამაყად აიქნია, კისერი მოიღერა და თვალეში ეშმაკურად გაასავსავა. დგას იონა მუხლებზე, სულგანაბული შეჰყურებს გულქვა პირუტყვს, თვალეებს არ ახამხამებს, ტუჩებს არ ანძრევს, საკმარისია ოდნავ გაინძრეს და თხა წამსვე დაეძგერება.

თეთრი ნისლი თანდათან მოედო ეზოს. ღამდებოდა. ეზოში ჭაჭანება არ იყო. ელპიტე არ ჩანდა. დაიღალა იონა მუხლებზე დგომით, სხეული მოუდუნდა.

„ჩემი მხსნელი არავინ არის. რავექნა ახლა?! ისევ მე უნდა ვუშველო ჩემს უბედურ თავს“, — გაიფიქრა მოხუცმა და უცებ განზე გადაქანდა. ვაცი შეტოკდა, უკანა ფეხებზე შედგა და დასაძგერებლად გამოქანდა, მაგრამ იონა გაუწვა — თხამ თავი ვერ შეიკავა და მის უკან კისრით დაერჭო მიწაზე.

— ბეე, — შებღავლა პირუტყვმა.

— წმინდა გიორგის რისხვა! — შესძახა გამარჯვებით გახარებულიმა მოხუცმა და სახლისაკენ მოუსვა.

მოულოდნელი დამარცხებით გაგულისებულ იონას უცებ წამოიჭრა, თავი უღონოდ გადააქნია აქეთ-იქით, მერე ჯიქურად მოსწყდა ადგილს და გაქცეულს დაედევნა. დანარჩენი თხები თქრივით გაჰყვნენ ვაცს.

მირბის ღონემიხდილი მოხუცი სახლისაკენ, კუნტრუშით მიხედვეს თხები უკან.

შუკაში ვიღაცის სიცილი გაისმა. ბოხი ხმით ხორხორცი წამსვე ეცნაურა იონას. სწრაფად გაიხედა ჭიშკარისაკენ. ლობეზე გადმოდგარი ნესტორ ბართაია დაინახა. ბერიკაცი სირცხვილისაგან დაიწვა, ფეხები აერია, ბორძიკი დაიწყო, ძლივს მიფარფატებდა.

— იონა, კაცო, რამ აგტეხა სამოცი წლის ყაძახი, რომ ვაცი დაგდევს? — მოესმა იონას ნესტორის დამცინავი ხმა და ამ ხმამ მისი ისედაც მოშხამული გული მთლად მოწამლა. კიბეზე აირბინა.

ტკივილისა და სირცხვილისაგან გაბრუებული მოხუცი ჭილოფზე ჩამოჯდა. ნესტორის ხარხარი წისქვილის ქვასავით დარახრახებდა თავზე.

გათენებამდე ერთი ძილი იქნებოდა, როცა იონას გამოეღვიძა, თვალები მოისრისა. გააზმორა. ზურგშექცევით მწოლარე ცოლს გადახედა. დაიხარა, ყური მიადო. ელპიტე მძიმედ სუნთქავდა, სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი უთამაშებდა, ალბათ, სიზმარს ხედავდა.

იონამ გაბურძენული წვერი თითებით შეივარცხნა და ლოგინიდან წამოიწია. დაბეჭილი სხეული ისე დამძიმებოდა, რომ ეგონა, მთელი ლოგინი ელპიტთანად აითრიაო.

ოთახში სიწყნარე იყო. გარედან რულმორეულ მამლის ყივი-

ლი და ბატების ყიყინი ისმოდა. იონამ ფანჯარაში გაიხედა — ჯერ კიდევ ბნელოდა.

ტოტები არ ირხეოდნენ, ფოთლები არ შრიალებდნენ. თითქოს ბუნებაც ტკბილ ძილს მისცემოდა.

იონამ ახალუხი წამოისხა. კედლიდან ძველებური თათრული ბებუთი ჩამოხსნა, პირი მოუსინჯა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ცოლს.

ახლა ელპიტეს პირალმა ეძინა. მკლავები ბალიშზე დაეწყო და წინანდებურად სახეზე ღიმილი უკრთოდა.

— შემიცოდე ჩემო სასოებავ! მაპატიე, ჩემო ელპიტე! ოცდაათი წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად და შენი უნებური არაფერი ჩამიდენია. დღეს პირველად გლაღატობ. რა ვქნა, მეტი აღარ შემძლიან. ორი წელიწადია ვითმინე, სიცოცხლე გამიმწარდა. აღარა ვარ კაცი. ან მე ან ვაცი, ვიცი, რომ თხაში არ გამცვლი, ჩემო ელპიტე, შეუხდე შენს იონას! — ამბობდა დუღუნით იონა და თან ისე შესცქეროდა ცოლს, თითქოს ხატის წინ ლოცულობსო.

კარები ფრთხილად გააღო და ფეხაკრეფით აივანზე გავიდა. კიბე სწრაფად ჩაირბინა და ბოსლისაკენ გაემართა.

ძალლი წკმუტუნით მიეგება, მოეაღერსა, ფეხები დაულოკა, გარშემო შემოურბინა და მერე ეზოში გაიჯირითა ყეფით.

— ბოთურია, არ გამომჭრა ყელი! რას მიშვრები, შე უტვინო, არ გამიღვიძო ცოლი! — შესჩივლა პატრონმა ძალლს.

ძალლი თითქოს მიუხვდაო იონას ნათქვამს, ყეფა შესწყვიტა, ფეხებში გაეხლართა, კვლავ გარშემო შემოურბინა და მერე კუდის ქნევით უკან გაჰყვა.

იონა ბოსლის კარებთან შედგა. დეღავდა, გული ძალზე უცემდა, ხელები უკანკალებდა. ყოყმანობდა. ვერ გადაეწყვიტა განაზრახი. შეისვენა, სული მოითქვა.

— არა, ან მე, ან ვაცი. — სთქვა მტკიცედ და გადაწყვეტილურდული გამოაგდო და კარი სწრაფად გააღო.

ვაცი დაბარებულებით კარებთან იდგა. იონას დანახვაზე კისერი წაიგრძელა, ზანტად გაიზმორა.

იონამ ელდანაკრავით უკან დაიხია, კარები სწრაფად მიხურა და ოდის ლაფარისაკენ გაემართა. კედლიდან თოკი ჩამოხსნა, კიბეც წაიღო და ისევ ბოსლისკენ წავიდა. თოკისაგან მარყუჟი გამონასკვა, კიბით ოდის სხვენზე ავიდა. ყველაფერ ამას ისე სწრაფად და მოხერხებულად აკეთებდა, როგორც გამოცდილი ქურდი, მაგრამ აღელვება და შიში მაინც ეტყობოდა.

— ქიჩ, ქიჩ, ქიჩ! — ჩასძახა ზევიდან სხვენზე ასულ თხებს. ვაცმა კისერი მოიღერა, ცალი თვალით ახედა პატრონს.

იონამ აღარ დააყოვნა.

— ჰაიბ, შე ეშმაკის ნასხლეთო! ახლა მაინც მოგიღებ ბოლოს! — დასძახა რიხიანად თხას და თოკი მარდად წამოაცვა თავზე. მერე უცებ მოქაჩა და თხას ოსხირზე დაკიდება მოუნდომა. ვაცი აქეთ-იქით მიაწყდა, თან უსაშველო ბლავილი მორთო. კუთხეში მიყრილი თხები დაფრთხნენ, ერთბაშად წამოცვიდნენ, ადგილიდან, ჩვეულებისამებრ ერთ რიგში ჩამწყრივდნენ და ხან ვაცს შეჰყურებდნენ, ხან კიდევ სხვენზე გადმომდგარ ბერიკაცს. იონა ძლივს იმაგრებდა გახელებულ ვაცს. სახეწამოჭარხლებულს, შუბლზე ოფლის ზვითქი ჩამოსდიოდა. ფეხებით ოსხირს მობლაუჭებულო, თავდაღმა ეკიდა სხვენზე. თხა გააღმასდა, აფთარს დაემსგავსა, ბლაოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

ჯერ კიდევ ტკბილ ძილში მყოფ ელპიტეს ყრუდ ჩაესმა ვაცის ბლავილი, მაგრამ ვერ გამოერკვა. გვერდი შეინაცვლა, შეიშმუნა და თავზე საბანი წაიხურა.

— ბე, ბე... ე... ე!.. — საცოდავად მოსთქვამდა ნახევრად გაგუღული ვაცი.

— მე, მე, მე, ვარ, იონა ყორშია, გიტირე თუ არა ყოფა! — ომახიანად ჩასძახოდა ზევიდან იონა და თან ძლივს იმაგრებდა თავს.

ვაცი არ აპირებდა დამორჩილებას, ხან ჰაერში ხტებოდა, ხან კედელს აწყდებოდა. პეტელითა და ბლავილით იკლებდა იქაურობას.

ელპიტეს ახლა უკვე ხმამაღლა ჩაესმა ვაცის ბლავილი. წამოჯდა. ყური მიუგდო. მერე გვერდზე გადაიხედა. ქმარი რომ ვერ დაინახა, ერთი შეჰკივლა და ზეზე წამოიჭრა, თავსაფარს დასტაცა ხელი და საცვლების ამარა გარეთ გავარდა.

იონას სისხლი თავში მოაწვა. დაიღალა, ხელფეხი მოეკვეთა, მაგრამ თოკს მაინც ხელიდან არ უშვებდა. ცდილობდა როგორმე თოკი ოსხირისთვის მოეხვია, რათა ადვილად დაეძლია თხის ღონისა და სიმძიმისათვის. ვაცი თითქოს მიუხვდაო, ჰაერში შეხტა, მერე უცებ განზე გადაქანდა. იონამ თავი ვერ შეიმაგრა. სხვენიდან მოწყდა და ძირს გაიშხლართა. თავზარდაცემულმა სული განაბა. თავი მკლავებში ჩაიღო და გაიტრუნა.

არაქათგამოლეული ვაცი შორიახლო შედგა. გამარჯვებით გაყოყორჩებული, მედიდურად დააცქერდა თავის მსხვერპლს.

— დიდია, დიდია, მიშველეთ ვინცხამ, ვინა ხართ ქრისტიანი! — მოისმა ეზოში ელპიტეს წივილი და ეს ხმა იონას ვაცის რქაზე უფრო მაგრა მოხვდა გულზე.

— რა ვქნა ახლა, მომეჭრა თავი! რას იფიქრებს ქალი, საცვლების ამარა რომ დამინახავს ამ თხებში?! — გაუელვა თავში იონას და ცალი თვალით ახედა ვაცს. ვაცი რქებში გახლართული თოკის გადმოგდებას ლამობდა. თავს აქეთ-იქით იქნევდა.

ვაცი რომ გართული დაინახა, იმედი მიეცა. დრო შეუორჩია ნელნელა წამოიწია და ჩაჩეჩილი საცვალი აიტოტა.

იმავე წუთში ბოსლის კარი ფართოდ გაიღო და გულგახეთქილი ელპიტე შევარდა. ფუნაში ამოსვრილ ქმრის დანახვაზე საშინლად შეჰყვირა და იქვე ჩაჯდა.

— იონა, დიდია პატონკოჩი, რა ამბავია ჩემს თავს! რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები! დიდია, გედვირევი ახლავე, დამაბით ვინცხამ! — სულმოუთქმელად ქაქანებდა ელპიტე და თან მუხლებზე ხელებს იპარტყუნებდა. დარცხვენილმა იონამ არ იცოდა, რა ექნა. თავდახრილი იდგა, ერიდებოდა ცოლის შემოხედვას. ეძებდა მიზეზს, რითი გაემართლებინა თავი. მალე მიაგნო. თავი აიღო, პირდაპირ შეხედა ცოლს და შეუტია.

— რას ქაქანებ! რავა რა ანბავია, შუადღემდე რომ გძინავს არ იცი, რომ საქონელს მიხედვა უნდა. ვერ ხედავ, თხა რა დღეშია?!

— დიდია, დიდია! რას ამბობ, შე ცოდვის შვილო, შუადღე კა არა, ჯერაც არ გათენებულა, — შესძახა გაკაპასებულმა ცოლმა ქმარს და თხებს დაერია. თხები გარეთ გამოცვივდნენ და ჭიშკრისაკენ გაექანენ.

* * *

ვოუ რაიდა სივარაიდა.

ვოუ რაიდა ვააა.

შუკიდან შემოჭრილი სიმღერა სოფელს მოედო, ბავშვები ააჭყივლა. გოგოებს გული აუძგერა და ძაღლები ააყეფა. მზისაგან დამწვარი ბავშვები თიკნებივით ხტებოდნენ ლობეზე და სირბილით ეგებებოდნენ სამუშაოდან დაბრუნებულ კოლმეურნეებს. ზოგი შამას ეგებებოდა, ზოგი ბაბუას, ძმას და ბიძას. მათ ყვილ-ხვილში აქა-იქ აღტაცებული წამოძახილი ისმოდა:

— ბაბაჩია, ბაბუ, სარდიონი, მონჩა — ტარასი...

სამუშაოდან დაბრუნებული ელპიტე ძროხას წველიდა. სიმღერის ხმაზე ყურები ცქვიტა. დანაოკებულ სახეზე სიხარულის ღიმილ-

მა გადაჰკრა. სხვების ხმაში ქმრის ომახიანი მოძახილის გაგონებამ გული აუძგერა.

„ალბათ პატონკოჩმა გაიმარჯვა“ — გაიფიქრა და წველას თავი მიანება, რძით სავსე ნიგა იქვე ხეზე ჩამოკიდა, ხბო მიუშვა და ჭისკრისაკენ წაფუსფუსდა.

წინათ სამუშაოდან დაბრუნებული კოლმეურნენი გზაში იშლებოდნენ. თემშარა მრავალი შუკით იყო დასერილი, ზოგი მარჯვნივ გადაუხვევდა, ზოგი მარცხნივ. იონა სოფლის ბოლოს თემშარის პირას ცხოვრობდა, ამიტომ ყოველთვის მარტო მოაბიჯებდა სახლში. დღეს კოლმეურნენი არ დაშლილან. ერთად მოდიან — იონას მოჰყვებიან. იონა წინ მოდის. სახეანთებული, მკლავებდაკაპიწებული, გამარჯვებული მეომარივით მოაბიჯებს. აღტაცებულია იონა — დღეს გაიმარჯვა.

მთელი წლის განმავლობაში ეჯიბრებოდა ნესტორს, მაგრამ ანაოდ, გამოცდილ მყნობელს ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ნესტორი სიმარდით ჯობნადა. გული სწყდებოდა იონას. სიბერემ მოხარა, ძალა არ ყოფნის, რომ ცოდნა მოიხმაროს.

მაინც არ კარგავდა იმედს. ხშირად იმეორებდა გულში ხალხურ ანდაზას: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. იონას მყნობას ოსტატობაში არავინ ჯობნიდა მთელ სოფელში. არც ნესტორი და არც სხვა. მხოლოდ ღონე აკლდა. მალე ილღებოდა მოხუცი. ამიტომ საჭირო იყო ოსტატობის ხერხის გაუმჯობესება, და მართლაც, იონამ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მიაგნო კიდევ ხერხს. ერთბაშად შეუტია ნესტორს — ყველა გააოცა. დღეში თავის მეტოქეზე ათი-თხუთმეტი ძარით მეტს ამყნობდა.

არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მის დამყნობილს არ ეხებოდა, მისი დამყნობილი გამხმარიყოს.

დღეს უკანასკნელად შეუტია იონამ ნესტორს და ორმოცი ძირით გადააჭარბა.

გამარჯვებული ბრუნდებოდა იონა სახლში. მთელმა სოფელმა გაიგო მისი ამბავი. ხვალ რაიონიც გაიჭებს. იქნება რაიონსაც გასცდეს მისი სახელი. უხარია მოხუცს, ბავშვივით აღტაცებული მოაბიჯებს სახლისაკენ. არასოდეს ასეთი სიხარული არ უგრძენია სამოცი წლას მოხუცს.

ახალგაზრდობისას იონა განთქმული იყო ცხენოსნობაში. მისი სახელი აფხაზეთშიც კი იყო გავარდნილი. ბევრჯელ დაბრუნებულა იქიდან გამარჯვებული, საჩუქრებით და სახელით. მაგრამ ასეთი სიხარული არც მაშინ განუცდია იონას. ბევრჯელ გაუტანია ბურთი ლელოში. შეუქიათ მისი სიმარდე, ღონე და გამბედაობა. მაგ-

რამ არც ის სიხარული ყოფილა ამის მსგავსი. ახლა სხვა სიხარულს გრძნობს მოხუცი — რაღაც ახალსა და გამოუცდელს, ძვირფასსა და სასახელოს. ეს სიხარული სხვებსაც ახარებს. ამას გრძნობს იონა, და აი ამხანაგები სახლში მოჰყავს, რათა მათთან ერთად აღნიშნოს ეს უჩვეულო დღე.

უკვე სახლს უახლოვდებოდნენ, როცა ხელმარჯვნივ შუკიდან ყვირილი და ხმაური მოისმა: მეზობლის ექვსიოდე წლის ბავშვი ვაცზე შემჯდარიყო და ცხენით მიაჭენებდა.

იონას გაბრწყინებული სახე უცებ შიშმა მოიცვა. თანდათან უკლო ნაბიჯს, ამხანაგებს მხარში ამოუდგა და როცა დარწმუნდა, რომ ვაცი ვერსაიდან მიუდგებოდა, მშვიდად განაგრძო გზა და სიმღერა. ენა-გადმოვდებული ვაცი ქოშინით მიფანდრაკებდა, ბავშვი განუწყვეტლივ სცემდა ჯოხს და მედიდურად გაჰკიოდა:

— ჰაიტ, აჰა, ჰაიტ!

„რას ხედავს ჩემი თვალები. — გაიფიქრა იონამ, — თითის სიგრძე ბავშვი ზურგზე მოჯდომია, ღდინს აცლის და მე, ამხელა ყაზახი როგორ დამიბრძოვა, მერე რა ყაზახი! იონა ყორშია, რომლის სურათს ხვალ რაიონის გაზეთში დაბეჭდავენ. თხამ დამიბრძოვა, უტვინო პირუტყვმა, რომელსაც...“

იონამ ფიქრი ვერ დაასრულა — ელპიტეს ხმა მოესმა. დედაკაცს ჭიშკარი ფართოდ გაეღო და სტუმრებს ეპატიჟებოდა.

— შემარცხვინა, ელპიტე, შენმა ბერიკაცმა. მაჯობა, დღეს რომოცი ძირით ჩემზე მეტი დაამყნო, — მიაძახა ეზოში შესვლის უმაღვე ნესტორმა მასპინძელს და თან ისე მიესალმა, რომ ელპიტეს ჭაუყვირდა. „ვერ გამოვივა, ნესტორმა გაიმარჯვა თუ პატონკონმა“, გაიფიქრა და გაკვირვებით დააქჟერდა ნესტორის მოღიმარ სახეს.

— ყველაფერს მოველოდი, მაგრამ სამოცი წლის ბერიკაცი თუ მაჯობებდა, არ მეგონა, — განაგრძო ნესტორმა.

— რაო, ბერიკაციო! ვინაა შე ცხვირმოუხოცელო ბაღანავ, ბერიკაცა? — იჭექა იონამ და თან მამალავით აიქოჩრა. — ბერიკაცი კი არა, შენისთანა ყმაწვილს მარემ სამს მოუგრებ კისერს. სისხლი მიდულს, ბიძია, მაჭარვით მიჩქეფს ძარღვებში!

ამ სიტყვებზე იონამ მხრები დარდიმანდულად შეათამაშა. თითონვე გაიცანა თავის ხუმრობაზე და სტუმრებს მარნისკენ გაუძევა.

— თუ მუშაობაში არა, იქნებ ჭურის თავზე მაინც მაჯობო, ჩემო ნესტორ, ოჯალემის სმაში. — ღიმილით უთხრა იონამ დამარცხებულს და თითონ ოდისაკენ გაემართა.

— ჭურს შემოუსხედით, ბატონებო, და ახლავე ისეთ სუფრას გაგიშლით, როგორც თქვენისთანა სტუმრებს შეეფერება, — მიაძახა სტუმრებს ელპიტემ და ქმარს აედევნა.

— აბა, ჩემო სასოებავ, არ შემაცხვინო სტუმრებთან. დატრიალდი, დაფაცურდი შენებურად, — ეუბნებოდა იონა გზადაგზა ცოლს.

— ყველაფერი მზადა მაქვს, ბატონკოჩი: კოლექტივში ძროხა დაუკლავთ და ბეჭი შენ გამოგიგზავნეს გამარჯვების აღსანიშნავად.

ამის გაგონებაზე იონამ მედიდურად შეხედა ცოლს, თვალები აენტო. წუთით შედგა. გაიჭიმა.

— რავეა, ლარსი არ ვარ თუ? როგორ მიყურებ შენ ახლა მე, როგორ მიყურებ მეთქი? ვინა ვარ მე ახლა? — ელპიტე გაკვირვებული შეაშტერდა უცნაურად გაჭიმულ ქმარს.

— თქვი, ვინა ვარ მეთქი მალე! — არ ეშვებოდა ქმარი ცოლს.

— რავეა, ვინა ხარ ბატონკოჩი, პირველად გხედავ თუ. იონა ხარ, ჩემი ქმარი, ჩემი ბებერი.

იონა, თითქოს ხელი ჰკრესო, შეხტა, იწყინა, დაიჭექა:

— შენი ბებერი? — გამარჯვება შენი! — გულჯავრიანად მიაძახა ცოლს. სახტად დარჩენილი ცოლი მიხვდა, რომ აწყენინა, მაგრამ ვერ გაარკვია, რა უთხრა საწყენი.

— ბატონკოჩი, დილადანვე მიგრძნობდა მხარი შენს გამარჯვებას. რავეა გამიმართლდა ხომ ხედავ!?

— აბა რავეა გგონია, ახლა კობახიას ჭალაზე კი არ ვმუშაობ, კოლმეურნეობის წევრი ვარ.

ელპიტეს კობახიას ჭალის ხსენებამ სახე მოუღრუბლა. ნათლად წარმოუდგა თვალწინ ის დრო, როცა უმიწობის გამო ქმართან ერთად კობახიას ჭალას აკლავდა თავს. თავდაუღებელ შრომაში აღამებდა ცოლქმარი დღეებს. წელზე ფეხს იდგამდნენ, თავს არ ზოგავდნენ. მაგრამ ოჯახში მაინც ვერაფერი შეჰქონდათ, კუჭს ვერ იძლებდნენ რადგან მათი ნაშრომის ნახევარი სხვას მიჰქონდა. მიწის პატრონი იძლებდა კუჭს მათი ნაოფლარით.

— რას ვაფიჩინებულხარ ხატავით! აბა, რა გაქვს, გეანძერი ერთცახე, ნუ დამიხოცე სტუმრები შიმშილით!

— რა ვაყვირებს, ბატონკოჩო წალების მეტი არაფერი უნდა, აკი ვთქვი, ყველაფერი მზათა მაქვს მეთქი, — უთხრა ცოლმა ქმარს და კერის პირას მდგარ ნისორზე მიუთითა. ნისორზე აუარებელი ზორაგი ეწყო. იონას კმაყოფილებით გაეღიმა. გული მოუღება, სიყვარულით შეხედა ცოლს.

— სიმართლე თუ გინდა, ჩემო ელპიტე, მე ხომ ვარ და ვარ სასახელო კაცი, მარა არც შენ ხარ ჩემზე ნაკლები...

— რაო, ჩემზე ნაკლებიო, — შეიცხადა ელპიტემ და კველაზე დაეშვა, ხელება მუხლებზე შემოიკრა.

— რა თქვი, პატონკოჩი, რავა, მე შენზე ნაკლები ვარ თუ? შენ ჩვენ სოფელში გიცნობენ მართო. ნარაზენს არ გასცილებია შენი სახელი და მე მეტოლები, მე, რომელსაც მთელი ქვეყანა მიცნობს, „პრავდა“ გაზეთშიაც დამხატეს. დამიწერეს, ასეთი ქალია, ასეთი დამკვრელიაო. არ გახსოვს ეგ ამბავი თუ? ახლა არაფრად გვეჩვენები. რავა მიყურებ ახლა მართლა შენ? შე თხისგან დაბრიყვებულო ყაზახო, ვინ გგონივარ შენ!?

იონას თითქოს ცა ჩამოენგრაო თავზე. ყველაფერზე უფრო თხის ხსენებამ დაჰკრა გულზე. გადაფითრდა მოხუცი. რა გაიგონა მისმა ყურებმა, რა უთხრა ელპიტემ, მისმა სასოება ცოლმა. ოცდაათი წელია ერთად ცხოვრობენ და არასოდეს ცოლის პირადან „ყაზახი“ არ სმენია. ასეთი შემოტევა არ უგრძენია. რა უთხრა ისეთი, რომ ასე გაანჩხლდა დედაბერი. ასეთ ფიქრში იყო გართული იონა, რომ ეზოდან სტუმრების ხმა მოესმა:

— რას ჭიკჭიკებთ მანდ, მასპინძლებო, — გამოგვხედეთ, ნუ დაგვხოცეთ შიმშილათ!

გონება დაკარგული ბერიკაცი გაშოერკვია — ნისორს დასწვდა, მაგრამ ვერ წამოსწია. ცოლი მიეშველა, ნისორი წამოაწევინა და თვითონ ჭურჭლის გამოლაგებას შეუდგა. იონა უკან მოუხედავად გავიდა ოდიდან. სტუმრები მიეშველნენ, ნისორა ჩამოართვეს ბერიკაცს. პურმარილი შეუქქეს. მასპინძელა ჭურის თავს მოუჯდა. მკლავები დაიკაპიწა.

— ღვანოა, მარა რა ღვინო, ისეთია, რომ დაღევა არ შეიძლება, — შეაქო იონამ ოჯალეში და ჭურს თავი მოხადა.

— რაო, დაღევა არ შეიძლებაო. თუ დაღევა არ შეიძლება, ვერაფერი კარგი ღვინო ყოფილა, ჩემო იონა, — წამოიძახა ნესტორმა.

— ვერ დაჰლევთ მეთქი, ძნელი დასაღევია, გადაირევით და მერე რა გიყოთ ამდენ გადარეულს?

იონამ კოთხითი ამოღებული წითელი ღვინო თასზე გადმოასხა.

— ფერს უყურეთ, ფერს.

— ფერს რომ ჭკუა ქონდეს, ჩემო იონა, მაშინ ნესტორი გაჯობებდა. შეხედე, რავა წამოჭარხლებულა სახეზე, სისხლი არ უჩერდება კანში, — შეაგება ერთერთმა სტუმარმა სიტყვა მასპინძელს.

დღიური შრომით დაღლილი მუშები მადიანად შეუდგნენ ჭამას. იონა ხშირ-ხშირად ავსებდა თასებს. ელპიტე თავს ევლებოდა ძვარფასს სტუმრებს.

უკვე ზინდი ჩამოწვა. სტუმრები ისევ ჭურის თავს უსხდნენ. გრა-ლი ნიაფი ჰქრის. ნელა ირხევია ჩამავალი მზისაგან აბრწყვიალებუ-ლი ჭადრის ფოთლები. შეზარხოშებულმა მასპინძელმა ყანწი აილო-წამოდვა, სტუმრებს ღიმილით გადახედა. დიდმნიშვნელოვან სად-ღეგრძელოს თქმა დააპირა. მაგრამ თითქოს უცებ უზხვლიტესო, შეტოკდა, ყანწიდან ღვინო ჩამოექცა. კისერი გაუშეშდა, უძრავი გახდა. გაკვირვებული სტუმრები მასპინძელს მიაჩერდნენ, მაგრამ მალე მათი ყურადღება თხის პეტელმა მიიპყრო.

იონას ზურგს უკან ვაცი იდგა. ფეხებს აბაკუნებდა, თავს აქაჯინებდა.

იონას სუნთქვა შეეკრა. დანა რომ დაგეკრათ, სისხლი არ გამო-უვიდოდა. კრიჭაშეკრული იდგა და თხოვნით სავსე თვალებით მის-ჩერებოდა ცოლს.

„მომეჭრა თავი. — ან ცოლი გამამხელს, ან თხა წამახდენს. რავა გამოტვინებულივით დვას ჩემი სასოება, ვერ მამხვდარა რომ ვაცს შეუტიოს. ჩამიმწარდა ყველაფერი. მთელი სოფლის სალაპარაკო და სასაცილო გავხდი.

იონას თვალწინ წარმოუდგა ენაგადმოვდებული ვაცი, რომელ-საც კისრის ტეხით მიაქანებდა წელან ბავშვი. კვლავ ცოლს შეაე-ლო თვალი, აიღეწა ბერიკაცი, გაჯავრებით შეუტია დედაკაცს.

— რას მომჩერებინარ ქალო, ვერ გადენი მაგ თხას, მაცალე ორი სიტყვა ვუთხრა ამ ძვირფას სტუმრებს.

ელპიტეს გაეღიმა. დაიხარა, ფიჩხი აილო და ვაცს მოუქნია. თხა წამსვე შეტრიალდა და ჯლივინით შეიჭრა თხილნარებში.

იონამ ყანწი შეაესო. სამწრის ოფლი მკლავით მოიწმინდა და რიხიანად დაიწყო:

— ნათქვამია ბატონებო, კარგ მსმენელს კარგი მოქმელი უნდაო. ჰო და თქვენისთანა მსმენელები არ მომაკლოს გამჩენმა, არც მე ვარ თქვენი დასაწუნი. რა ვიცი, მე ასე შგონია და თუ ვინმე სხვა-ნაირად ფიქრობს ანასუნ მის საქმეს... რავა... რითი ვარ ვანმეზე ნაკლები. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს...

თავისმა სიტყვამ თვითონვე შეაკრთო იონა. თხის ხსენებამ ვაცი მოაგონა, მაგრამ არ დაბნეულა, ლაპარაკი არ შეუწყვეტია.

ქმრის ტრახახით დარცხვენილმა ელპიტემ ბევრი უტრიალა იონას გარშემო. ხან რითი ანიშნა და ხან რითი, რომ აზარტში შე-სულ ბერიკაცს, თავისთავზე ქაქანი შეეწყვიტა, მაგრამ ვერაფერს

გახდა. იონა ისე გაეტაცა ლაპარაკს, რომ თხის სიახლოვეც ვერ იგრძნო. ვაცი კვლავ მოპაროდა ზურგიდან, ახლა უფრო ახლო მოსულიყო, თვალებს ეშმაკურად ასაფსავებდა და ყელმოღერებული მისჩერებოდა პატრონს. ასე იდგა ერთხანს სმენად ქცეული, მერე თავი აიქნია, თითქოს არც მას მოეწონაო იონას ტრაბახა... ბეეეო, შებღავლა პატრონს. იონას თითქოს ურო დასცესო, მაშინვე ჩაჯდა უხმოდ და ცოლის ზურგს ჩამოეფარა.

— ადე, შე კაცო, გვადირსე, სადღეგრძელოს დასრულება! წყურვილით ვიხოცებით! — დაუძახა ნესტორმა.

— ასე მირჩევნია, შენა ჭირიმე, დამჯდარი ლაპარაკი. ჭვალი შემაფრინდა რალაც და წელის გმართვა მიჭირს! — მოიკატუნა თავი იონამ და ცალი თვალი ვაცისაკენ გააპარა. იგი ისე მოშვილდული იდგა, თითქოს პატრონის ადგომას უცდასო. ცოლი ძლივს იკავებდა სიცილს. თავდახრილი, მარდად ათლიდა ძროხის ბეჭს ოხშივარში გახვეულ ნაჭრებს და სტუმრებს ურიგებდა.

აონი

აონ: პირქუშ ხეთის მონაწილევ: ბარისა და მთის
მფარველო: ესე ზარი შემოგწირე მე: იოანე ბეჭა-
ურმა: ჩ... წელსა: მიშველე აონ:
წარწერა ზარზე, რომელსაც „ზარების მთავარს“
ეძახიან.

ხევსურის ბიჭმა ზარს დაჰკრა თოფი,
ამბობენ: ტყვია ზარს ვერა სჭრისო.
გამოდვრა ბერი საყდარში მყოფი
და გაეშურა თემისკენ ხეთისო.
— რა ამბავია? ნარბენალი ხარ? —
იყო შეკითხვა წამოშლილ სოფლის-
ის იდგა ჩუმი, ოხრავდა დიდხანს
და იწმენდავდა სახეს გაოფლილს.
— ალუდას ვოჟმა ზარი დათოფა,
ხალხმ უნდ გასაჯოს სასჯელი მისი.
...სადა ღას თემი ან ადათობა
წაიბილწაო საყუდარ ღეთისი!
მერე ელოდა გულ-ატკეცილი
ხალხის ნათქვამს და თავი დახარა.
მაგრამ ბიჭებში ჩადგა სიცილი,
ზოგმა ხმამალლა გადიხარხარა.
მაშინ დასწყევლა ჭალარამ ხალხი,
ციცაბო ბილიკს შეუდგა ხვნეშით.
დაბინდდა, ხევში ჩაფინეს თალხი
და მზე კრუხივით ჩაეშვა მთებში.

*) აონი — ხატია ივრის სათავეში, სოფელ ხილიანას ზემოთ.

ხეებს ხეები ეტმასნებიან,
ხევში ლოდები კაცურად სხედან.
შიჰყეები ბილიკს, ყველგან ქვეები
და თავშლის გაშლა — ცის ნაჭერს ხედავ,
ნაზარდა იფნი სიმაღლეს აქებს,
თურმე ბუტბუტი სცოდნია ხესაც.
ბილიკს ჩაუდის ციცაბო თავქვე,
ჩადის ბილიკი და ჩასდევს ხევსა.
დაბლა მდინარე კლდის ლოყას აღბობს,
მთაც უხილავ ხელს დაუტორია.
ამის შესახებ არაფერს ამბობს,
სდუმს ისტორია.

ღამით, აონის მთა, როცა
ღრუბლის ნაბადს მოიხვევს
და იორი თავის ზეცას
ნარმასავით მოიხვევს,
ცა ფითრდება ნელ-ნელა,
სადღაც ქარი ავდება,
მთვარე ისე დაილევა,
ისე პატარავდება...
იძენძება ნისლი ცაში,
შუქი ჩნდება აისის;
იქ, აონის სალოცავში,
ბუს კივილი გაისმის.

ხესთან ნიშია — ნაწყობი ქვანი,
ლუდის ქვაბი და ირემთა რქანი.

ზარები (ქარი აქანებს თოკებს)
ჩამომხვრჩვლებივით ჰკიდიან ტოტებს.

ის აქ მოვიდა, ჩამოჯდა ქოხთან,
იღებდა მიწას, მკერდს იხუტებდა.
მერე ისმოდა მოხუცის ოხვრა
და ბაგის ჩუმი აბუტბუტება:
— ვინ დაანგრია დიდხანს ნაშენი?
თუ კი გაძარცვეს, ვილა შემოსავს?
აონ, დიდება რა იქნა შენი?

აონ, ნათელი რატომ არ მოსჩანს?
მე მიჭირს სუნთქვა...
გატეხილია შავი კარები.
ძლიერი იყავ და აწი ნუ გქნა!..
მიყვარდი, მაგრამ არ მეყვარები!..
გამხმარხარ, ჩემო ცხოვრების ხეო,
შენი სიმწვანე ყინვამ მოლია.
ძალლიც შედმუის ცას: მიშველეო,
მაგრამ საშველი მაინც შორია..
მოსწია თოკებს პატარა ზართა,
გაისმა რეკა: გვიშველე ცაო:
გაცურდა ეხო და გაიზარდა:
აონ!.. აონ!.. აონ!..

გრიგალი სწეწდა ღრუბელთა ხვეულს,
ქუხდა და ელვა ანთებდა ხანძარს.
ხან შოლტსა ჰგავდა, ხან—ლახტს მოქნეულს,
ხან — გასაგმირად ამართულ ხანჯალს.
მთების მახლობლად ჩამოჰკრეს კვესი,
დაეცა მუხას მეხი ტიალი.
ხეობას გაჰყვა, წივილით, კენესით,
ზარის რეკა და კაცის ღრიალი...
-- რად არ მიუზღავ მტერს, თუ გაქვს სული?
შელანძლა ნიში, ხატიც ჩაწიხლა.
გამოიტანა ქოხიდან ცული
და ნაჯახის ხმა ისმოდა დიდხანს.
დაეცა ცაცხვი, მერე ხევებში
გაბმით ისმოდა ზართა ჟრიალი,
ვილაც გარბოდა მოსახვევებში,
ვილაც გიჟი და თვალყინეღლიანი.
გარბოდა იგი: ჩქარი, საზარი,
გარბოდა იგი: გული სტკიოდა;
თითქოს მისდევდა დაჭრილი ზარი...
მისდევდა ზარი და მიჰკიოდა...

წინ გადაუდგა მორბენალს ხევი
და კლდეებს შერჩათ ჩოხის ნახევი...

ვადმოსულიყო წყალი პატარა,
ღამეც გაფრინდა, როგორც ქედანი.

..მერე იორმა ჩამოატარა
თავ-გაჩეხილი კაცის ცხედარი.

ამბობენ: როცა სინათლის მძივი
მოაზარნიშებს წყლის ნაპირებსო,
მოხუცის ლანდი ტანდაძონძილი,
შიდის ნიშთან და ღმერთს აგინებსო.
ღმერთს აგინებს და ბაგენი თრთიან,
ღვას კედელივით ნესტიან ქარში.
მერე იკიდებს ზარებს ერთიან
და სამჭედლოსკენ გამოსწევს ბარში.

არაგვიანი

1. ორწყალი

არაგვთა შეყრას, მწვანით შემკული
ორწყალში ხარბად უმზერს მთა-ველი,
აქით თვალმღვრიე მოჰქუხს ხევსური,
იქით თვალწმინდა მორბის ფშაველი.
ფშავი შემღერის ძმობილს მწყემსურად,
სურს პირველობა ლექსით იდავოს,
— დავიდალეო, — ეტყვის ხევსური, —
ნაომარ ზვირთებს ძლივსლა ვზიდავო.
გზაში შემება გმირი ჯავშანით,
არც მე დავუსვი შეყრა იაფად,
ხმალი ხმალს ვეცით, შუქი გავშაღეთ
და ხევსურეთი ავაკიაფეთ.
მოიღუშება ფშავის არაგვი,
კლდეს შემოსტყორცნის ტალღას ტრიალით:
— მეც მომწყინდაო მათა მორეგვა,
უქმი თქარუნი და ხეტიალი.
— შენც მოესწრები, — პირველი ეტყვის, —
წავლენ და მთვარე, ვით ამორძალი,
აბრუებს ორწყალს სხივების სეტყვით
და მთვარის შუქზე ჩასთვლემს ორწყალი.

2. ელნათურაბი ხევისურის ქოხში

ღამე გულშავი ბინდის ბარაქით
მნათობს გაუყრის თვალებში სადგის.
ხევსურის ქოხში შედის არაგვი
და ჭერის პირში იკავებს ადგილს.

სახლს გაშორდება ბინდი ოხერი
(როგორც მასპინძელს ძუნწი სტუმარი).
წავა და სადმე მთის ორწოხებში
შეეხიზნება ხრამებს მღუმარი.
იქ კი ხევსური ჩამოკრავს ლარებს,
საქებარს ეტყვის დროს და მდინარეს,
არაგვი სხივებს ააელვარებს
და მოლიმარი რჩება დილამდე.
იქვე ძროხები თვალებით ბჭობენ,
აფიქრებთ კითხვა დაუპყრობელი:
ჯერ არ ყოფილა — რომ დარჩენოდეს
პატრონს სანათი გაუქრობელი,
ჭერში იცინის არაგვი კრძალვით,
სხივებით გავსილს არიგებს თასებს.
ასე ღიმილი მნათობს თუ ძალუძს,
ზაფხულის დღეში შემომჯდარს მთაზე!

დიღეზი მარჯონი

დიღე

ჭაბუკმა ლილე უნდა უთხრას ჩეგემის დიღას,
ან ვაჟკაცური სიმღერები ნაირ-ნაირი,
რომ დარჩეს ხალხში ბალყარეთის ხოტბის შაირი,
ხელიდან ხელში გადავიდეს ნაზად და ფრთხილად.

ჭაბუკმა ლილე უნდა უთხრას ჩეგემის დიღას,—
დიღას კი არა, ერთი მზე გვეყავს
ყველა ხალხს მარტო.
ამ დიღას უფრო ასე შეენის — ვუმღეროთ ლილე —
ბედნიერ ხალხთა საყვარელ მნათობს.

მარზი

შავ დალაღავ, ის თავშალი გშვენოდა,
მოშრიალე აბრეშუმი გიშერა, —
შენს აულში ბნელი დაწვა ზემოდან,
მოიქუფრა, ნისლიც წამოიშველა:
შაი, შაი, შამორირა, შაირა!

არასოდეს არ დავტოვებ ჩეგეამს —
ძველი მტრობა გულში არ ჩამრჩენია.
შენ თუ არა, მითხარ, შენი სეხნია,
ეს ციმციმა მნათობი ხომ ჩემია,
შაი, შაი, შამორირა, შაირა!

რა ღამეა... ვარსკვლავები კრიალა
ცამ უცნაურ იაგუნდად მოისხა.
წამოვიწყე: თქვენებური „ოისა“,
შენც გამოჩნდი შენი ჩაფრასტიანა
შაი, შაი, შამორირა, შაირა!

თვლებიდან ნაპერწკლები დაცვივდნენ,
ციცნათელებს ჰგვანდნენ სასიხარულოს.
ნუ თუ გვექონდა სიყვარული მალული
გამარჯვებულ ქვეყნის სტუმარ-მასპინძელს?
შაი, შაი, შამორირა, შაირა!

რა ღამეა. მთვარემ დაიგვიანა.
ცამ კრიალა ვარსკვლავები მოისხა, —
რა ვუმღეროთ განახლებულ ბალყარეთს?
წამოვიწყე: თავი რატომ დაჰხარე?
ნუთუ კიდევ ეკრძალები გიაურს?
მეგობრობა იქნებ ღირდეს შაირად-
წამოვიწყე თქვენებური „ოისა“.
შაი, შაი, შამორირა, შაირა!

მედალონები

1. რაინერ მარია რილკე

ადამიანის სახე სულის სარკეაო რომ უთქვამს ბრძენს, ეს რილკეს მიმართ ზედმიწევნით მართლდება.

დიდრონი სამხრული თვალების გაოცებული შემოხედვიდან დალალულობა და მოწყენა შემოგეფეთება უეცრად. დაუკვირდები და იგრძნობ ეს დაქანცულობა როდია, არამედ ქედმოდრეკილება მეღანქოლიური. მეოცნებეთა საერთო იერი.

მაგრად მოკუმული, მსხვილი, სენსორული ტუჩები ჰქონდა, არახშირი უღვაშები. ნაპოლენონ მესამის დარად მოშვებული წვერი.

მუდამ შავი ეცვა, პიჯაკის ქვეშ შავი ხავერდის ყილეტი საყელომდის სწვდებოდა. ძველმოდურს ფართო საყელოს ატარებდა და შავსავე კიდედაფანჩულ ჰალსტუხს.

ბუნებით მოკრძალებული იყო, საუბარში თავმდაბალი, საზოგადოებაში მიჩქმალული სჩანდა.

მის ბუნებისაგან შორს იყო თანადროული მწერლების თვითრეკლამა. თავმომბეზრებელი ტრაბახი, „სუპერგენიალური ჰეროდოტის“ ძიება, სახელისათვის გადარევის ჰისტერია.

რილკე ცხოვრებაში ანტიპოდი იყო თავისი დიდი შთამგონებელის პოლ ვერლენისა, რომელსაც ფრანგი კარიკატურისტები მუდამ თორითა და აბჯრით მოსილს ხატავდნენ, ხელში რაპირს აძლევდნენ „დაჯავშნულ“ პოეტს, რადგან ვერლენი შეუდარებელი პოლემისტი იყო და ენაგესლიანი შფოთისთავი.

რილკეს ჭირისდღესავით სძაგდა ევროპულხ დიდი პრესის აბეზარი ფოტოგრაფები, მოყიდული კრიტიკოსები, სენსაციაზე დაგეშილი რეპარტიორები, ყველა ისინი, ვინც პოეზიას ისე უცქერის,

როგორც ჩვეულებრივ სააქციო საზოგადოების მომგებიან ქალაქ-
ლებს.

რაინერ მარიო რილკე დაიბადა პრაგაში 1875 წელს.

პრაგა ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოში პოეზიისა და თეოსოფი-
ის ცენტრი იყო. აქ ალქიმისა და ასტროლოგიას ეწაფებოდნენ
გერმანელები, ჩეხები და ფრანგები.

იმპერატორები და კანცლერები ოქროს კავშირთა ხელოვნუ-
რად გამოძებნას ლამობდნენ.

რილკეს არც ისე ავანტურული და განსაცდელით სავსე ბიოგ-
რაფია ჰქონდა, როგორც ვერლენს.

სიჭაბუკეში ოფიცრად გახდომა ეწადა თურმე. მაგრამ რატომ-
ღაც ხელი მოსცარვია. ლექციებს ისმენდა პრაგის, მიუნხენის და
ბერლინის უნივერსიტეტში. განსწავლის წლებში რა მოათავა, ბევრი
იმგზავრა რუსეთში, იტალიასა და საფრანგეთში, მერმე ის იყო
როდენი გაიცნო პარიზში და მისი მდივანი გახდა.

1895 წელს რილკე აქვეყნებს თავის „ლარების მსხვერპლს“
(Larenopfer), სადაც მოცემულია მისი სიჭაბუკის ლექსები, ჩეხუ-
რი სამშობლოს პირველი განცდები, კარტოფელის მინდვრებში
მომღერალი გოგონების სილუეტები, ჩეხური ლანდშაფტების მელან-
ქოლია და ჭაბუკური პირველი ვნებები.

უკვე ვრცელისა და განცდებით დატვირთულ სამყაროში გასუ-
ლი პოეტი კაპიტალისტური ევროპის უსულო საზოგადოებაში მარ-
ტობასა და უსამშობლობას განიცდის.

„ოცნებაა, რომ იყვე ღელვით ანატოკები:

არ გაგაჩნდეს სამშობლო დროთა მდინარებაში,

სურვილია ამგვარი: ნელი დიალოგები

იქონიო უუამო წელთა შენაცვლებაში“.

1906 წელს აქვეყნებს რილკე თავის შესანიშნავ „Das Buch der
Zeit“-ს, რომელმაც დაუმკვიდრა მას დიდი პოეტის სახელი. ამ
წიგნშიაც უმღერის პოეტი წყნარ საღამოებს, უსახელო პოეტებს,
მელანქოლიურ გოგონებს, უსინათლო მათხოვრებს, კეთროვანებს
და დეფექტიური ადამიანების განწირულ სევს.

ჯერ კიდევ 1903 წ. აქვეყნებს რილკე ლექსების წიგნს „სიღარი-
ბისა და სიკვდილისათვის“.

პოეტური თემების რკალი რილკეს აკავშირებს მორის მეტერ-
ლინკის, სტეფან გეორგეს, ჰუგო ჰოფმანსტალისა და რიჰარდ დეჰმე-
ლის პოეზიასთან, ესაა მხოლოდ რილკეს პოეზია უფრო ფემინის-

ტურია, უფრო ნაზი და ამ მხრით იგი მომეტებულად ენათესავება ჰოლ. ვერლენს.

რილკეს ლექსებში თავს ვერ იმალავს პირდაპირ ბიოლოგიური სიძულვილი ევროპის დიდი ქალაქების კაზემატების მტვერისა და აურზაურის მიმართ.

გერმანული ლექსის ტექნიკა რილკემ მიიყვანა ისეთ მიჯნამდის, რომელიც ჯერ არც ერთ თანამედროვეს არ გადაულახავს. სტეფანე გეორგესა და ჰოფმანსტალისეული პოეტური ინსტრუმენტის სიფაქიზეს რილკემ დაურთო მომეტებული სიტუო და ბუნებრივობა. რილკემ შექმნა სავსებით ინდივიდუალური მეტყველება და იმპრესიონისტული, ოდნავ განყენებული პათეტიზმი, მინორული ტონების სილბოთი შეამსუბუქა.

ევროპის უახლესს პოეზიაში რილკე მიჩნეულია როგორც სავსებით უბადლო ოსტატი ლექსისა.

დინგელივით მოქნილია მის ხელში ენა და არსად მის პოეზიაში გეორგესებური „ზეკლასიური“ მაღალფარდოვნება აღარ შეგხვდებათ.

გერმანიის პოეზიაში მან შემოიტანა ის უცნაური სილბო, რომელიც თან ახლავს ავსტრიულ დიალექტს და ფრანგულ ენას. რილკეს ენა ფონეტიკურადაც განწმენდილია იმ ზემო-გერმანულ უხეშობისაგან, რომელიც ჭარბადაა წარმოდგენილი, როგორც შილლერის ლექსებში, ისე თანადროულ პოეზიაშიაც ალაგ-ალაგ. სავსებით ახალი გზები გახსნა რილკემ გერმანულ პროზაშიაც, მისი პატარა ნოველა „კორნეტის ქრისტოფ რილკეს სიკვდილისა და სიყვარულის ამბავი“ უბრწყინვალესი შედეგია დასავლეთის უახლეს პროზაში.

გერმანიაში ყველა დიდ ოსტატზე ადრე აუღო რილკემ ალღო იმ საშინელი ტევტონური სულის დამკვიდრებას, რომელიც თან მოჰყვა გერმანელ ფაშისტთა ხელისუფლების დამყარებას.

დიდი პოეტები და პროზაიკოსები ემიგრაციაში უნდა წასულიყვნენ, ან განზე გამდგარიყვნენ, რადგან ბარაბანის პოეზიას დარჩა ლიტერატურის ჰელო.

მწერლობას მოაწყდა სახაზინო უნიჭობა, რომელმაც იკისრა ანტისემიტური ქადაგების ლექსად გადაღება, მეიერიშეთა ჩექმის ქუსლების ქება.

ცხადია, ამ ეპოქას აღარ სჭირდებოდა ნაზხმიანი სირენები პოეზიისა, მეოცნებე ჭაბუკების, ღარიბი გოგონების ტკბილი ოცნების შესაიდუმლე. ეს ატმოსფერო რამდენიმე წლით ადრე იყო გერმანიაში საგრძნობი.

ამიტომაც გაეცალა რაინერ მარია რილკე დიდ ცენტრებს. თავანისმცემლებმა და მეგობრებმა მუცოტის პატარა კოშკი აუშენეს შვეიცარიაში. იგი დასახლდა ამ კოშკში, ყვავილნარი გააშენა, ლექსების ბეჭდვაზე ხელი აიღო, ვენახსა და ვარდებს უვლიდა და კერძო წერილებს სწერდა მეგობრებს.

ჯერ კიდევ ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში სჩიოდა რილკე:

„დაჰგელავს გრიგალი წარმზოცი ყოვლისა,
გრიგალი ტყესა და დროს აფორიაქებს“.

გაუზომელად დიდი ვირტუოზია რაინერ მარია რილკე, მიუხედავად ამისა, მან გერმანული ენების ფარგლის გარეშე ვერ მოიპოვა საკმარისი პოპულარობა.

ამის მიზეზი მრავალია.

ზოგი პოეტი ვაჟა-ფშაველას დარად ისე ღრმად შეიჭრება ხოლმე საკუთარ ენის ტევრში, რომ მისი უკუხმობა და სხვა ენაზე გადატანა თითქმის შეუძლებელი ხდება. (უნდა ითქვას, ასეთივე ბედა ეწვია ნოვალისს, გოეტეს რამდენიმე ლექსს, ფაუსტის ზოგიერთ ადგილებს, ვერლენის პოემებს, და მრავალ დიდ პოეტს, რომელთა შესახებ აპრიორი იციან სხვა ენებზე, რომ ისინი დიდია, მაგრამ არ კი იციან რატომ?)

არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც რილკეს პოეზია მხოლოდ გერმანული ენების ფარგლებში დარჩა.

ჩვენი საუკუნე ისეთი დიდი კატაკლიზმებითაა დანაღმული, მართოდენ წმინდა ლირიკით, ჯერ არც ერთ დიდ პოეტსაც არ გაუმარჯვნია მსოფლიო მასშტაბით.

რილკეს, თანამედროვემ და მისმა დიდმა მეტოქემ სტეფან გეორგემ თავისი მოგვური პათეთიკითა და ჟესტიკულიაციითაც მოიხვეჭა სახელი, მიმდევრებისა და თავანისმცემლების საერისთაო რა შემოიხმტკიცა.

გერჰარტ ჰაუპტმანმა დიდი სოციალური თემატიკის რკალით გაითქვა სახელი. თუმცა სავსებით უმართებულოდ, მაგრამ მაინც დაიმკვიდრა „პოეზიის მთავარმართებლის“ — გოეტეს სავარძელი გერმანულ პარნასზე.

რაინერ მარია რილკემ ვლოვის ძაძა ჩაიცვა და განუდგა კაპიტალისტური ევროპის ჟრიაშულს. ცხადია ამ განდგომაში მან უდიდესი პროტესტი გამოამჟღავნა.

უკანასკნელ წლებში მომეტებულის გულმოდგინებით უვლიდა რილკე თავის ბაღში ვარდებსა და ზამბახებს. როცა ყვავილთა ფურცლობა მოთავდებოდა, პაწია ვენახის ყურძენს მოიწევდა და

თავის ლექსებივით სურნელოვან ღვინოს გამოხდიდა ხოლმე. მოვი-
დოდა ზამთარი და გრივალები ქორებივით დატრიალდებოდნენ მუ-
ცოტის კოშკის ზეთავზე. და განდგომილი პოეტი ორფეოსის სო-
ნეტებს სწერდა, დუიზელ ელეგიების უკანასკნელ ვარიანტს უკირკი-
ტებდა, პოლ ვერლენს სთარგმნიდა, მიქელ ანჯელოს სონეტებს
გერმანული ლექსის აბჯარს აცმევდა.

ასე იქცევდა თავს რაინერ მარია უცხოობასა და მარტოობა-
ში. მარტოხელა პოეტი სთხზავდა, თანაც ექზოტიურ ყვავილებსა და
წადირებს ებაასებოდა ზამთრის გრძელ ღამეებში.

მერმე ის იყო 1926 წლის დეკემბერს 29-ს ნაშუაღამევს მოულო-
დნელად ეწვია სიკვდილი, რომელიც არა ერთხელ გამოუხატავს
მას თორიანი რაინდის სახით.

სულ ხუთიოდე ათეული წელი დაჰყო რილკემ ამ ქვეყნად, მა-
გრამ უდიდეს წარმატებით შეასრულა აპოლონისა და მუზების
განაკვეთი.

სიკვდილის წუთებში ფრანჩესკო დასიზის ახსენებდა თურმე,
იმ საოცარ კაცს, რომელმაც ასე უცნაურად იქორწინა თავის
დროზე ქალბატონ სილარიბესთან.

მუცოტში, მიყრუებულ შვეიცარულ სოფელში უსახელო კაცი-
ვით გადაეგო განდგომილი პოეტი.

რაონში მცხოვრები შვეიცარიელი მეყველეები არც კი იც-
ნობდნენ რილკეს, არც სენსაციის მაძიებელი ქრონიკორები მოსუ-
ლან მეორე დღეს, არც კორესპოდენტები. დილიდანვე რადიო ბლა-
ოდა თურმე რაონში დერბის, ფუტბოლისა და ბირჟის ამბებს —
მთელი ევროპიდან მოხვეჭილს.

მსოფლიოს უდიდესმა აკადემიებმა უდიდესი და აურჩეველი
წევრი დაჰკარგეს, თუმცა რილკე არავისგან ელოდა არჩევას და
პატივდებას.

მას არასოდეს აინტერესებდა თუ რას სწერდნენ მისი პოეზიის
გამო მოსყიდული კრიტიკოსები და გაყიდული გაზეთები.

არც თუ მახლობლნი დარჩენია მას ვინმე ამ ქვეყნად, არც
არავის დაუტირნია იგი, მაგრამ უნაზესი პოეზიის მოტრფიალე
ქალწულთა და ჭაბუკთა ოხვრა მარად ეახლება მის გენიალურ
ლექსს.

ლ. ღვისაძე

მსოფლიო ომის პრობლემა გ. ტაბიძის პოეზიაში.

1.

1937 წლის ს. ა. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენთან მიღებულია ილაყბონ კაპიტალისტურ გარემოცვაზე, მაგრამ არ სურთ ჩაუფიქრდნენ, რა არის ეს კაპიტალისტური გარემოცვა, კაპიტალისტური გარემოცვა — ეს ცალიერი ფრაზა როდია, ეს მეტად რეალური და არასასიამოვნო მოვლენაა. კაპიტალისტური გარემოცვა — ეს ნიშნავს, რომ არის ერთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი, რომელმაც დაიმყარა სოციალისტური წესწყობილება, და, გარდა ამისა, არის ბევრი ქვეყანა, ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც განაგრძობენ კაპიტალისტური წესით ცხოვრებას და რომლებიც გარს ერტყმიან საბჭოთა კავშირს, ელოდებიან რა შემთხვევას იმისათვის, რომ თავს დაესხან მას, დაამარცხონ იგი, ან, ყოველ შემთხვევაში ძირი გამოუთხარონ მის ძლიერებას და დაასუსტონ იგი“.

ეს მომენტი ჩვენში ძალიან ნაკლებად პოულობს შესაფერ მხატვრულ უკუფენას ლიტერატურაში. კაპიტალიზმი ახალ გამანადგურებელ მსოფლიო ომს უმზადებს კაცობრიობას. საერთაშორისო მხატვრული ლიტერატურა არ ტოვებს უყურადღებოდ მომავალ ომს, მაგრამ მისი ყურადღება უმთავრესად გამახვილებულია უკვე გარდასულ 1914 — 18 წლების იმპერიალისტურ ომზე. მსოფლიო მწერლობის წარმომადგენლებმა არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოებები შექმნეს ამ თემაზე.

ამ ლიტერატურულ მოძრაობას სათავე დაუდვა დიდმა ფრანგმა კომუნისტმა მწერალმა ანრი ბარბიუსმა. რომანში — „ცეცხლში“ — მან გვიჩვენა ის მხეცობა, გაველურება და უდანაშაულო ძმათა სისხლის ღვრა, რომელიც ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ, ამ ჩვენი დროის გველეშაპმა, კულტურულ კაცობ-

რიობას მოახვია თავს. მწერალმა ამავე რომანში განჭვრიტა ის საშუალებაც, რომელიც კაცობრიობას ამ უმაგალითო ხოცვა-ჟლეტისგან დაიხსნის. ეს საშუალებაა საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობა.

ა. ბარბიუსის გზას დაადგნენ მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი ადამიანები: ჟიულ რომენი, ერიქ მარია რემარკი, არნოლდ ცვაიგი, უკანასკნელად გახმაურებული რომანის „ტიბოს ოჯახის“ ავტორი როჟე მარტენ დიუ გარი და ბევრიც სხვა: მაგრამ ეს მწერლები რამდენიმედ დაშორდნენ ა. ბარბიუსის შემოქმედების ლეიტმოტივს. ა. ბარბიუსი საბოლოოდ მკითხველში ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის განწყობილებასა და მშრომელი კაცობრიობის უდაო გამარჯვების იმედებს ზრდიდა. ერიქ მარია რემარკისა და ბევრი სხვა მწერლის პაციფისტური თბულელები („დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ და სხვ.) წარმოგვიდგენენ ომს, როგორც ფატალურ აუცილებლობას, როგორც გარდუვალ ტრაგედიას, როგორც დაუძლეველ მისტიკას, რომელიც თითქოს არ ემორჩილება ადამიანთა შეგნებულ მოქმედებას და აზრს. ამ მისტიციზმისა და პესიმიზმის ზევით ჯერ ვერც ერთი მწერალი ვერ ამალღებულა და ვერ განავითარეს ა. ბარბიუსის მიერ ნაანდერძევი რევოლუციური მსოფლმხედველობა ომის საკითხებში.

მსოფლიო ომის საკითხი გ. ტაბიძის წინაშე სხვა სოციალურ საკითხებთან ერთად ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დადგა. პირველ ხანებში სოციალური პრობლემები მის შემოქმედებაში მისტიურ გარსშია დანახული და მოვლენები ჯერ კიდევ არ დამდგარიყვნენ პოეტის წინაშე თავისი ბუნებრივი სამოსით. ეს იყო გარდამავალი ხანა მისტიკური სიმბოლიზმიდან სოციალისტური რეალიზმისაკენ. პოეტმა იმ ნახევრად მისტიკური სათვალეებითაც შეძლო მძაფრად განეცადა მსოფლიო ომის საშინელებანი, მისი კოშმარი და სისაძაგლე. ამ ტრაგიკული სურათებისა და განცდების მხატვრული უკუფენა პოეტმა შეძლო ელეგიური ტონით დაწერილი ლირიკული ლექსების საშუალებით.

ჯერ კიდევ 1918 წელს, როცა პოეტი ორივე ფეხებით მისტიკური სიმბოლიზმის ნიადაგზე იდგა და ერთს რეალურ სხივსაც ვერ გაერღვია მისი ხედვის ბინდები, მან დაწერა ლექსი „როგორ არხევდა ქარი იტალიანურ შობისხეს ტრიპოლისში“.

ამ ლექსის აქსესუარი მთლიანად მისტიკური სიმბოლოებისაგანაა შემდგარი, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ამ მისტიკური

გარსის ქვეშაც ადვილად ამჩნევს ღრმა სოციალური ტკივილებით ატირებულ პოეტს:

„სული ომებით ბოდავს,
სული სავსეა სისხლით,
კაცთა თვითფულ ცოდვას
ითვლის თვითფულ მისხლით“.

შემდეგ ლექსებში თანდათან ირკვევა პოეტისთვის რეალური ქვეყნის საზღვრები და მსოფლიო ომისგან გამოწვეული განცდები რეალისტური ტონით და სახეებით არის გადმოცემული. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, რომელიც მის პოეტურ მანიფესტს წარმოადგენს და რომლითაც იგი საბოლოოდ დგება მსოფლიო რევოლუციისათვის მებრძოლთა რიგებში, რადგანაც კაცობრიობის ხსნა ამ გზით იწამა. პოეტი კაპიტალისტური წყობილების უდიდეს ბოროტებას მსოფლიო ომში ხედავს. ეს მოსალოდნელი ომი ის ფოკუსია, რომელიც მთელი ამ წყობილების შინაბუნებას გამოხატავს. ამ ლექსში პოეტი სწორედ ამ მოსალოდნელ საფრთხეს აღწერს.

„წამოვა მღვრიე ცეცხლის ნაღვრად
ასანტიმეტრის მკაცრი სახელი,
ხევიდან ხევზე გადიგრაალეზს,
ხევიდან ხევის გამოძახილი.
გააფთრებული ომის გენია,
ძველი უანგივით ყვითელი ფერის
გადეფარება მეწამულ ზეცას
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის“.

რამ დაარწმუნა პოეტი მსოფლიო ომის საფრთხის არსებობაში? პოეტმა ახლა გაიგო, რომ ომს კაპიტალისტური საზოგადოება ამზადებს, მას ადამიანი აწყობს, რომ ამ დროს ბურჟუაზიის მხარეზე ბურჟუაზიის პოეტებიც დგებიან და ომის ლოცვა-კურთხევას აწარმოებენ; პოეტმა იცის, თუ მაშინ „სად დადგებიან კლოდელი, უამში, სიუარესი“. იგი ხმამაღლა უყივის რევოლუციონერ პოეტების სახელოვან ფალანგას:

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი.
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს,
ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.

ომისა და ყოველგვარი ბოროტების მოსპობა ამ ქვეყნად მსოფლიო რევოლუციის „ქარიშხლითაა“ მოსახერხებელი, რომელსაც თამამად უწვდის ხელს ჩვენი მგოსანი.

ამ ლექსში პოეტმა აღნიშნა იმპერიალისტური ომის საფრთხე, მისგან გამოწვეული საშინელებანი და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. ასეთი იყო გ. ტაბიძის შეხედულება მსოფლიო ომზე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პირველ ხანებში.

2

რაც უფრო მტკიცდებოდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი, მით უფრო იმარჯვებდა ტენდენცია სოციალისტური რეალიზმისაკენ. პოეტმა მალე სამუდამოდ დასძლია მისტიკა და სიმბოლიზმი. მის შემოქმედებაში თანდათან იმარჯვებდა საზოგადოებრივი საკითხებისაკენ რადიკალურად შემობრუნების ტენდენცია იმ დიდ ისტორიულ-რევოლუციურ ძვრებთან დაკავშირებით, რომელთა მოწამე თითონ იყო ჯონ რიდთან ერთად, იგი ქართულ პოეზიაში პირველი მახარობელი შეიქნა „ქვეყნის გადარჩენისა“.

„ქვეყნის გადარჩენის“ პოეზია გ. ტაბიძის ლექსებში მალე გადაეზარდა ახალი ქვეყნის მშენებლობის სიმღერას და ჩვენს წინაშე დადგა საბჭოთა პოეზიის დიდი ოსტატი, რომელმაც სოციალისტური რეალიზმის სტილით აითვისა მიმდინარე ისტორიული პრაქტიკა და მხატვრულად ასახა იგი.

გ. ტაბიძის ლირიკა დღეს ნამდვილი სოციალური ლირიკის მწვერვალზეა ასული და გვაგრძნობინებს, რომ საზოგადოებრივი საკითხები პოეტის სულის ისეთი ფაქიზი განცდებითაა გამთბარი, რომ საზოგადოებრივი და პიროვნული ერთი მონოლიტური ლირიკის სახითაა გადმოცემული. კოსმიური, მსოფლიო, სოციალური გატარებულია პოეტის პიროვნების ორგანიულ-ფსიქიური განცდების ქსელში. მისი შემოქმედების პირველ პერიოდში (1917 წლამდე) ესთეტიკური ინდივიდუალიზმი ეგოცენტრიზმამდე დასული განწყობილებით ხასიათდებოდა. დღეს კი მისი პოეზია არა მხოლოდ სოციალურ ლირიკას წარმოადგენს, არამედ იგი ამავე დროს სოციალისტური პოეზიაა, კომუნისტური ხელოვნებაა, ე. ი. მხატვრულად ათვისებულია არა მარტო ის, რაც არის და ვითარდება, არამედ ისიც, საითკენაც ვითარდება კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებათა შინაგანი, იმანენტური ბუნება, ამის

მიხედვით პოეტის პერსპექტიული ხედვაც იმედებითა და გამარჯვების უდაო შესაძლებლობის გრძნობებით ანთებს მკითხველს.

ოქტომბრის რევოლუციის მიერ დაყენებული ისტორიული პრობლემები და იდეები ღრმად შეიჭრნენ პოეტის ცნობიერებაში.

პოეტის ასეთი შემობრუნების ძირითადი მაჩვენებელი შემდეგი გარემოება: კაპიტალისტური და სოციალისტური სამყაროს მოვლენები პოეტის მხატვრულ შემეცნებაში რევოლუციური შუქითაა განათებული. ახლა პოეტი უკვე აღარ გაუბრუნებს რეალურ სინამდვილეს. პოეტმა თვალი გაუსწორა როგორც სოციალისტური ქვეყნის შემოქმედებითი ცხოვრების ფერხულს, ისე კაპიტალისტური ქვეყნების „ცოდვისა და ბოროტების სამეუფეს“, მოძებნა მათი პოეტური ასახვისათვის მხატვრული ხერხები და გამოიმუშავა მტკიცე რევოლუციური განწყობილება.

კაპიტალისტური საზოგადოებრივი ბოროტების დანახვა, მისი ასახვა და მის წინააღმდეგ პოეტური აღშფოთება ახლა ერთერთ ცენტრალური თემაა გ. ტაბიძის პოეზიაში.

ყველაზე უდიდესი სოციალური ბოროტება გ. ტაბიძისათვის გარდასული და მომავალი ომია. ლექსების ერთ ჯგუფში პოეტმა ასახა მსოფლიო ომის საშინელებები და პოეტურ სახეებში გადმოგვცა ის აგონია და კოშმარი, ის ხოცვა-ჟლეტა და განადგურება, რომელიც მსოფლიო ომმა მოუტანა კაცობრიობას. ლექსების მეორე ჯგუფში კი პოეტი ცდილობს დაგვანახოს მსოფლიო ომის გამოწვევის მექანიკა და საიდუმლოებანი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ეს მეორე მხარე მისი პოეზიისა, ამ თემაზე, პოეტმა მოხაზა ლექსებში „პაციფიზმის“ სახელწოდებით, თუმცა, აქედანვე უნდა ითქვას, რომ იგი მხატვრული შესრულების მხრივ ლექსების პირველ ჯგუფთან შედარებით უფერული და რიტორიკული გამოუვიდა.

შეგჩერდეთ პირველ ჯგუფის ლექსებზე. ამ მხრივ შესანიშნავია ლექსები: „იგი — ომია“, „ათასის მხედველობა, ათასის იერი“, „და სისინებდნენ, სისინებდნენ ჩალის ღერები“, „გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი“ „მოხუცი ქალი“.

განვიხილოთ ლექსი „იგი — ომია“.

მსოფლიო ომის საშინელებათა მსხვერპლი უპირველესად ყოველისა ტყვიებით დაცხრილული ფარაჯებში გახვეული ჯარისკაცებია, მაგრამ თითონ ამავე ომის შინაგანი ბუნება, „რაიც ამრავლებს ტანჯვებს“ და აღრმავებს იარებს ხალხის სხეულზე, ამზადებს და ზრდის ჯარისკაცთა რევოლუციურ შეგნებას და უსაზღვრო უკმაყოფილებას. რუხ ფარაჯებში გახვეულნი მუშები და გლეხე-

ბი საბოლოოდ ერთიანდებიან აქტიური ბრძოლისათვის ომის მომწყობი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის მისატანად. ამგვარად ამ ლექსის მთავარ იდეაში განაღდებულია ლენინის ლოზუნგი: იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად. მართალია, პოეტმა თითონ სამოქალაქო ომის ფაქტი არ დაგვანახა, მაგრამ ის ჯარისკაცები, რომელნიც „ტოვებენ ფრონტს და ბრუნდებიან“ ყვირილით: „გაუმარჯოს რევოლუციას“-ო, ბრუნდებიან იმისათვის, რომ საბოლოო ანგარიშები გაასწორონ კაპიტალისტურ საზოგადოებასთან. უკმაყოფილების განწყობილებები თანდათან იზრდება და პოეტი გვაჩვენებს ამ განწყობილებათა რევოლუციურ შეგნებად ჩამოყალიბების პროცესს. პოეტმა ჯარისკაცთა გაურკვეველი განცდების პროცესი გვიჩვენა, რაც საბოლოოდ შეგნებულ აღშფოთებად იქცა. ამ ლექსში პოეტმა შესძლო ეჩვენებინა, თუ როგორი თანდათანობით მზადდება ფსიქოლოგიურად კაპიტალიზმის მესაფლავე ფრონტზე ცეცხლსა და ყინვაში. ერთის მხრივ, პოეტი ამ ლექსის დასაწყისშივე გვაჩვენებს წინააღმდეგობას საკუთარ მძიმე სულიერ განწყობილებასა და მეშხანური წრეების განწყობილებებს შორის.

ყოველთვის, როცა პოეტის ფიქრებს მსოფლიო ომის მსხვერპლთა სურათები იტაცებს, იგი ჭირისუფლის მძიმე სევდით ივსება და მეშხანური საზოგადოების სამეჯლისო ჰანგები ოდნავადაც არ აღელვებენ.

„ო, ნუ მღერი! როცა მღერი;
ზღვები მთა და ბარი:
ყველაფერი, ყველაფერი
თითქო რიგზე არი“.

მეორე მხრივ, პოეტმა ამ ლექსის სტრიქონებში გულშემზარავო სურათები ჯარისკაცების ცხოვრებიდან დაასრულა სამხედრო მეთაურთა ქეიფისა და ორგიების დაპირდაპირებით, რითაც გაიკვანძა დრამატიული კოლიზია რევოლუციურ და რეაქციურ ძალებს შორის. ამ კვანძის გახსნა პოეტმა ამ ლექსშივე გვიჩვენა. პატარა ლირიკული ექსპოზიციის შემდეგ, რომლითაც ლექსი იწყება, პოეტი ცდილობს გადმოგვცეს ომის ცეცხლში გახვეულ ჯარისკაცების მწარე ცხოვრება და მძიმე სულიერი განცდები, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ახერხებს საკუთარი აღშფოთებული გრძნობების დაძლევას და გზადაგზა ვრცელ ლირიკულ გადახვევებში ამჟღავნებს პირად შეხედულებებსა და აზრებს. ამიტომ თავიდან ბოლომდე ეს ნაწარმოები პატარა ლირიკულ პოემას მოგვაგონებს, რადგან შივ სუჟეტიც არის და მოქმედებაც.

პოეტი ომის ესთეტიკური შემეცნებისათვის პირველად ყოვლისა ჯარისკაცების ტრაგედიას და უმწეო მდგომარეობას გვაჩვენებს:

- განა ეს არის ტანისამოსი?
- მხოლოდ ჩვრები?
- აჰ, მეომარის ბედის ნამუსი...
- ვაგვარებია?
- დაცხრილულია ფარაჯის თეკა
- ტყვიების დროა.
- სადაც კი გავწევ იქვე ირღვევა —
- ისე ვიწროა.
- თქვენ გეცინებათ ეს სისასტიკე?
- რომელიც ანგრევს...
- სოფლებს, ქალაქებს ანგრევს და ივებს
- წყევლა ამ სანგრებს!
- ყინვავე, გეყოფა ასე ანცობა!
- არ გინდა ბინდი?
- ეს ქარიშხალი რამ ვააცოფა!
- ოჰო — ოჰ! გავყინდი!“

ეს პატარა სურათი მსოფლიო ომისა მეტად მჭერმეტყველურად ვვარწმუნებს იმაში, თუ რა ენით გამოუთქმელი ტანჯვა და წვალება გადიტანა ჯარისკაცმა.

ამ ეპიზოდების გადმოცემა პოეტმა შესძლო რეალისტური მანერით, თუმცა ტონი რეალისტური რომანტიკოსისაა. ერთადერთი საიმედო სხივი ჯარისკაცის მჭმუნვარე სულში მხოლოდ მაშინ 'შემოანათებს, როცა იგი ერთხელ მაინც მოიგონებს თავის სოფელში გატარებულ ცხოვრებას, ეს წარმოდგენა ატკბობს მას. სოფელში კვლავ დაბრუნების ოცნებით სულდგმულობს იგი.

„კარგია წყაროს წყალი გემოთი
სუნთქვა სიოთი.
რომ მივდიოდი და ვეცემოდი,
კვლავ მივდიოდი.
ზარბაზნების რომ ატყდა ქუხილი
გრიგვინვა და ჭეჭა,
მე ერთად ერთი მქონდა წუხილი
სოფლების დეკა“.

როგორი ნეტარებით იგონებს ტანჯული ჯარისკაცი მყუდრო სოფელში გატარებულ ცხოვრების უკანასკნელ ბედნიერ დღეებს, რომელიც მათი უმრავლესობისათვის საერთოდ უკანასკნელი ბედნიერება და სიამოვნება შეიქნა ამ ქვეყნად. პოეტმა კარგად იცის, რომ მაშინდელი სოფელი კაპიტალისტური ექსპლოატაციის მსხვერ-

პლი იყო და სრულფასიან ბედნიერებას ამიტომ იქ ადამიანი ვერ გრძნობდა, მაგრამ სამაგიეროდ ადამიანი იქ უკეთესი ცხოვრებისათვის იბრძოდა ბუნებისა და ბოროტი საზოგადოების წინააღმდეგ; ასეთი ბრძოლა გაცილებით უფრო მეტი ბედნიერებაა, ვიდრე ნესტიან სანგრებში კაპიტალის ინტერესებისათვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვა. ამიტომ იგონებს ასეთი სიყვარულით ჯარისკაცი თავის სოფელს. კაპიტალიზმის ბოროტმა ხელმა ეს წუთიერი სიამეც ჩაუშხამა ბუნების შვილებს, რადგანაც ყოველი სახლის კარები „მსოფლიო ომის მათუწყებელმა“ ქარმა შეაღო და ადამიანებიც ერთმანეთის საჟღეტად გამოიყვანა. სოფლის მყუდროება და სიმშვიდეც გაქრა, როგორც „სალამოს ნისლი“. აი რა სურათები წარმოუდგა თხრილში მეოცნებე ჯარისკაცს მსოფლიო ომის წინააღმდეგში. ტკბილმა მოგონებამ მხოლოდ წუთით გადასერა მისი დამწუხარებელი სახე და ისევ უღმობელი სინამდვილე აიტუზა მის წინაშე. ეს სინამდვილე ომი, სისხლი და ცეცხლია.

პოეტი ცდილობს გადმოგვცეს ნოტიო სანგრებში მწოლარე ჯარისკაცების ყოფის ყოველი მწვრილმანი. აი წერაკითხვის უცოდინარი ჯარისკაცი, დედისაგან მიღებულ წერილს ამხანაგი უკითხავს. მოხუცი დედა, რომელსაც „ლამის სულ თავზე დაენგრეს ქოხი“, მშობლური მზრუნველობით ლოცავს შვილს და მის უვნებლად დაბრუნებაზე ოცნებობს. სანგრებში ხშირად გაისმის ბოლმითა და გაბოროტებით სავსე სიმღერა, რომელიც ჯარისკაცებს შეუთხზავთ და რომელშიც თავისი „ბედის სამღურავი“ გამოუთქვამთ:

„ეს სიცივე არეს ყინავს
ცხრა ღამეა რაც არ გვძინავს.
მთიდან მთაზე
თხრილში გვაგსებს თოვლის მტვერი,
არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი
და ვართ ასე!“

ამ პატარა ნაწარმოების ყველაზე უფრო ამაღელვებელ მხატვრულ სახეს ჭკუაზეშეშლილი მოხუცი ქალი წარმოადგენს, რომელიც მეტად ორიგინალური პოეტური ფანტაზიის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს:

„ღრმა სიბნელიდან მოხუცი ქალი
გამოდის ჩანთით.
მან ჯარისკაცებს მოავლო თვალი,
— აჰ, თქვენ არ სჩანდით.
და სანთლით ხელში ათვალიერებს
სანგრებს და ჯარებს“.

ასე დაეძებს იგი ყოველ ცისმარე დღესა და ღამეს თავის პირმშო შვილს, რომელიც ომში მოუკლეს. იგი ყოველთვის ასეთი კითხვით მიმართავს სანგრების მცხოვრებლებს:

— „იქნებ იცნობდეთ, შვილო, გეთაყვათ,
ან გაგეგონოსთ,
მოჰკლეს, დამარხეს თუ სხვა ჯარს გაჰყვა
ის ჩემი შვილი?
დიდი ხანია არ მიმიღია
მისგან წერილი“.

მაგრამ ჯარისკაცებისაგან ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი უსმის:

„არა დედი, არ მოგვისმენია.
— დაღალული ხარ, ჩამოსვენე,
— სანამდე ვინმე შვილს არ მიჩვენებს
— მანამ ქვეყნად მე რა მომასვენებს“.

და ასე განაგრძობს შვილის ძებნას მოხუცი დედა.

აქ უნდა ავღნიშნოთ გ. ტაბიძის პოეტური ხელოვნების ერთი ხერხი. მსოფლიო ომის მიერ გავერანებული და აწიოკებულ-ამოქლეტილი მშრომელი კაცობრიობის ტანჯვა პოეტმა თავიდანვე დედის მხატვრულ სახეში გვაჩვენა. ომში გამორეკილი მუშებისა და გლეხების დედის ტანჯვაში მან განასახიერა მთელი ხალხის ტანჯვა და წამება, ჯერ კიდევ 1914 წელს დაწერილ ლექსში („გუბე“) პოეტი მსოფლიო ომით წალეკილი კაცობრიობის სულიერ დრამას ანსახიერებს ბერძნული მითოლოგიის გმირი ქალის ნობას სახეში, რომელსაც ქალღმერთის დიანას წინაშე სიამაყისა და სითამამის გამოჩენისათვის ღმერთებმა თოთხმეტი შვილი დაუბოცეს და თვითონ ნობა კი გააქვავეს. პოეტის გაგებით ასევე მოექცა კაცობრიობას კაპიტალისტებისა და მემამულეების კლასები. ასევე შეუბრალებლად ამოხოცეს ადამიანთა ათეული მილიონები და დანარჩენებს კი ნობასავით გაქვავება შიესჯათ. ომის საწინააღმდეგოდ ხმის ამოღებისა და ურჩობის უკმაყოფილების გამომჟღავნების ყოველი შემთხვევისათვის ტყვია, სარჩობელა და კატორღა მიესაჯა მშრომელ კაცობრიობას. ომის წინააღმდეგ ხმის ამოღებისათვის მოკლეს მგზნებარე ტრიბუნი ჟან ჟორესი საფრანგეთის კაპიტალისტებმა.

ამ ლექსში კი პოეტი უფრო ახლოს მოვიდა სინამდვილესთან და მის მუზას ანტიკური ქვეყნების მითებში აღარ დაჭირვებია ომით გამწარებული მოხუცი დედის მოძებნა. იგი მგოსანმა აქვე შეამჩ-

ნია და ბრძოლის ველზე გამოიყვანა, თმაგაწეწილი და შეშლილი რომ დაეხეტება მკვდარ ჯარისკაცებში.

იგი შეშლილა იმიტომ, რომ ერთის წუთითაც არ უნდა იწამოს უდანაშაულო შვილის სიკვდილი. მოუტეხავი ჟინით და ჯიუტი ნებისყოფით განაგრძობს იგი შვილის ძებნას, რადგანაც აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ შეუძლებელია ადამიანი ასე უდანაშაულოდ დაისაჯოს. ამ მოხუცი ქალის სახით ბრძოლის ველზე თითქოს თითონ კაცობრიობის შეურიგებელი გონება იყოს წარმოდგენილი, რომელიც სამართლიანობის ასე ფეხქვეშ გათელვას წუთითაც ვერ შერიგებია. ეს მოხუცი ქალი ომით გათელილი კაპიტალიზმის მიერ შეგინებული მშრომელი ხალხის წარმომადგენელია. მისი წუხილი ყველა დედის წუხილია. მისი ტანჯვა ყველა ხალხის ტანჯვაა.

აი სურათი იმისა, თუ როგორ მიანგრ-მოანგრიეს ქალაქები, ამოხოცეს მილიონები ადამიანებისა, რომელნიც სოფლად კვლავ დაბრუნების იმედებით ცოცხლობდნენ. აი როგორ გადაბუგეს ულამაზესი დედამიწა, უმშვენიერესი ბუნება, ამწვანებული მთები და ველები.

„გადაბიზინება,
ცეცხლო, შენ მიერი
ალთა ხვეულები
სოფლებს მიანებეს.
ქვეყნად იფინება
მაინც მშვენიერი
მკვდარი სხეულები
ადამიანების.
ხმობით საშინელი
თხრილში ჩაჩრილები,
ნისლში მორგებია
სახე ფითრებული.
ახლა საშინელი
გროვა დაჭრილების
თითქო მორგვებია
დასახიჩრებული“.

აი ამ საშინელ პირობებში უხდება მხეცური ომების წარმოება „საწყალ ჯარისკაცს, დაღალულ ჯარისკაცს“, რის გამოც მისი განცდების განვითარება ლოდიკურად მაღლდება შურისძიების გრძნობამდე. შურისძიების გრძნობათა გადმონთხვევისათვის მწიფდება ჯარისკაცების შეგნება. ამისათვის პოეტი ერთს სურათს კიდევ ხატავს! ომის ცეცხლით გადაბუგული ველის მახლობლად კაპიტა-

ლისტური ომის საძებნოდ მეთაურებს ორგია გაუმართავთ, ქეიფობენ და დროს ატარებენ კეკლუცი ქალების გვერდით. ამ სანახაობის შემდეგ სრულიად ლოგიკურია ის გადაწყვეტილება, რომელიც ჯარისკაცებმა გამოიტანეს ომის ცეცხლიდან. ჯარისკაცებს აღარ უნდათ უაზრო და უმიზნო ომი, აღარ უნდათ იბრძოლონ ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებისათვის. პოეტის მიერ დახატული ომის სურათებისა და ადამიანების სულის წუხილის მხატვრული სახეების შემდეგ ასეთი ჯანყი ომის ორგანიზატორთა წინააღმდეგ სავსებით გასაგებია.

„აივნიდან ხმა: — იერიშისთვის!

ჯარის ხმა: — არა!

ვისთვის ვიბრძოლო? მთავრობებისთვის?

ომი ომს! კმარა!

— გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

— გაუმარჯოს გაფიცვებს,

— გაუმარჯოს აჯანყებას.

— ამხანაგებო, ომი ომს!

— გაუმარჯოს რევოლუციას“.

ამ ლექსში მოხაზული მხატვრული იდეებისა და სახეების განვითარებას ვხედავთ ლექსებში „მოხუცი ქალი“ და „ათასის მხედველობა, ათასის იერი“. დანარჩენ ლექსებს ამ ციკლიდან არ ვეხებით, რადგანაც ისინი ახალ მოტივებს, ან უკვე აღნიშნული მოტივების გაღრმავებას არ იძლევიან.

ზოგჯერ გ. ტაბიძის მხატვრული მეთოდი მოგვაგონებს რუსული ლიტერატურის მე-60 წლების დიდი რევოლუციონერ-დემოკრატიული მწერლის ნეკრასოვის მანერას. ნეკრასოვმა რუსეთის მშრომელი ხალხის ტანჯვა მეფის იმპერიალისტური ჯარების სამსახურში დაგვანახვა (ჯარისკაცის დედის სულისკვეთებაში).

ნეკრასოვისვე მხატვრულ მეთოდს უახლოვდება ის ხერხი, რომლითაც გ. ტაბიძემ ომში დახოცილი ჯარისკაცების სულისკვეთება დაგვიხატა. ლექსში „რკინიგზა“ ნეკრასოვმა გზის მშენებლობაზე დახოცილი მუშებისა და გლეხების აჩრდილები რკინიგზის ორივე მხარეზე ჩამოამწკრივა, რომლებიც გულის მომკვლელ სურათებში აუწყებენ გაქანებული მატარებლის მგზავრებს და მთელ ქვეყანას, თუ როგორ ეწამენ და იტანჯენ რკინიგზების მშენებლობაზე. ასეთივე კატორღული შრომის პირობები იყო შექმნილი რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის სხვა უბნებზეც. გ. ტაბიძემაც მოხერხებულად გამოიყენა ეს მხატვრული ხერხი ლექსში, „ათასის მხედვე-“

ლობა, ათასის იერი“. ომში დახოცილი ჯარისკაცების ლანტები ურყევად კლდედ დამდგარან კაპიტალისტური სამყაროს წინაშე და პასუხს თხოულობენ.

„გარდაცვლილი ჯარისკაცთა ჩონჩხები:
მთას მიარღვევს, ცა და მიწას ედება,
საიდუმლოს კლასებისას ის ეძებს,
ბუკოს ფერფლი, იყოს თავგამეტება,
საგნებს ეძებს და მიწეზეთა მიწეზეებს,
მოიგონებს სულშეხუთულ ზაფხულებს,
და ღამეებს მძიმეს მერმართათვის,
გახურება მომწიფებულ მკათათვის“.

ამ მიცვალებულთა საფლავებზე კაცობრიობა კითხულობს თავის ბედობას. „ბრძენი ჩონჩხი“ უნათებს გზას მშრომელ კაცობრიობას, რომელსაც იმპერიალიზმი ისევ ახალ სისხლის ღვრას უმზადებს. მიცვალებულთა თაობის ტრაგედია მდგრად უნდა ჩააფიქროს ცოცხლად დარჩენილთა თაობა. თუ მსოფლიო ომის განჭვრეტას ასე გონივრულად მოვახდენთ, თუ ისტორიაში ომში დახოცილი ძმების და მამების ბედს გამოვიკვლევთ, მაშინ თანამედროვე კაცობრიობისთვის აღარ დარჩება „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა და შინა“ უსახელო მიცვალებულთა თაობის მოწოდება:

„გაიღვიძეთ!... ჰკვივის სისხლი უცნობი,
გაიღვიძეთ!... ხმას იძლევა ხეობა,
სასაკლაო!... ვინ იყო ის უგრძობი,
რომ ამ ადგილს დაადგინა მკვლევლობა?
ფიქრი ღმერთზე შარშანდელი თოვლია
ჩონჩხი ღმერთსაც არ იწამებს მამაოდ.
გმირს ამოდ ქვეყნად არ უცხოვრია
არც მომკვდარა უბრალოდ და ამოდ“.

დასასრულ თითონ გარდაცვლილი თაობები მოგვიწოდებენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მსოფლიო ომის ყოველგვარი შესაძლებლობის აღმოსაფხვრელად:

„ვინ დაეჭებს ბნელ სოროებს და ღრუბლებს?
გაიღვიძეთ, ვინც სიზმარში გაერთო.
უკანასკნელს სხვა ომს გადააყრუებს:
აჯანყება! აჯანყება! საერთო!“

განვიხილოთ ლექსების მეორე ჯგუფი, რომელიც თავის დროზე პოეტმა „პაციფიზმის“ სახელწოდებით გამოაქვეყნა და ახლა წვრილ-წვრილ ლექსებადაა დაშლილი. აქ ჩვენს მიერ დაყენებული

პრობლემის მეორე მხარეა გაშუქებული. აქ მან გვიჩვენა ბურჟუაზიული ინტელიგენციის პაციფისტური განწყობილება, რაც მხოლოდ სიტყვიერი ამხედრებაა ომის წინააღმდეგ, საქმით კი იმპერიალისტური ბურჟუაზიის საომარი მიზნების მოხერხებული მიჩქმალვაა, და მაშასადამე მისი სამსახურიც.

ომის საშიშროება კვლავ დგას კაცობრიობის წინაშე და კვლავ ადამიანთა ახალი განადგურებით გვემუქრება.

„მიწას კვლავ ეფინება,
როგორც გზა და დროება
იმპერიალისტური
ომის საშიშროება,
წამოვიდნენ ღრუბლები
მრისხანე და საზარი,
ილესება დანებად
რკინა უზარმაზარი,
მოაქვს სისხლის მორევი
და სიკვდილის გონება
უძლეველი ტექნიკის
მწარე გამოგონება“.

პოეტმა იცის, რომ კაპიტალისტური სამყარო ახალ ომს უმზადებს კაცობრიობას. რა მწარე გესლია სიტყვებში: „ტექნიკის მწარე გამოგონება“. ადამიანის აზრი და გონება, მისი ყველაზე უძვირფასესი საუნჯე, რომლითაც იგი ცხოველთა სამყაროდან გამოირჩევა, რომელიც უკეთესი და ულამაზესი ცხოვრებისათვის უნდა ამზადებდეს კაცობრიობას, ომისათვის საჭირო იარაღებს და მომწამვლელ გაზებს იგონებს, რომ მოსპოს და გაანადგუროს... რაც შრომას უშენებია, მოსპოს და გაანადგუროს კაცობრიობა ფიზიკურადაც. ეს მოტივი უფრო აღმგზნებად მოქმედებს ადამიანზე. რადგანაც ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ ომს ბოროტი ადამიანი ამზადებს, რომ იგი არ არის აუცილებელი, რომ მისი თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ ადამიანები გაერთიანდებიან და გონივრულად წარმართავენ ტექნიკის გამოგონებებს, თუ კაცობრიობა გააზრებულ ცხოვრებას და სამართლიანობას დაიმყარებს. მაგრამ რას ხედავს პოეტი ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში? ომისათვის მზადებას ფარავს სოციალ-გამყიდველი და ბურჟუაზიული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები, ამ მხრივ, საინტერესოა ლექსი „გაიქცანით — პაციფისტია“. ამ მატყუარა და გაიძვერა ხალხს პაციფისტური სალაყბოც დაუარსებია, მაგრამ კაცობრიობის ბედობაზე

საკეთილო ზეგავლენის მოხდენა, რასაკვირველია, მას არ შეუძლია. ის, ვინც ვერ ამჩნევს ევროპის ცხოვრებაში ერთერთ პროგრესიულ ძალას, მუშათა კლასს, ის, ვინც ამ კლასის ავანგარდთან ერთად არ იბრძვის ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ, მხოლოდ ქვიშაზეა დარჩენილი. უფრო ხშირად კი განგებ არ ამჩნევს ამ ერთადერთ რევოლუციურ ძალას, რათა ხელი შეუწყოს ბურჟუაზიას ომებისა და ექსპლოატაციის წარმოებაში. ამ პაციფისტების ლაშქარს შეადგენს ბურჟუაზიის იდეოლოგები:

„იყო საღამო სუსხიანი
ჩუმი, ფარული,
ელექტრონებით გააჩაღეს
მდუმარე კლუბი.
სხედან, ბაქარას თამაშობენ
სულგანაბული,
მაგიდასთან დგას ხან ერთი, ხან
მეორე ჯგუფი,
აქ თვითეული მხოლოდ ჩუმი
მოქალაქეა.
აქ თვითეულის გულში ერთი
ფიქრი ტრიალებს.
ნაბად გადაკრულ კარებს აღებს
ძველი ლაქია,
მუნჯ-საკიდებზე ეს კარებიც
ნელა სრიალებს“.

ყველაფერი ისეა მოწყობილი გარეგნულად, რომ თითქოს ყველა ეს ბურჟუები და პაციფისტური ინტელიგენტები მხოლოდ კაცთმოყვარეობასა და საყოველთაო მშვიდობიანობაზე ფიქრობდნენ. კარების ხმაურიც კი უსამართლობად და მშვიდობიანობის დამრღვევად მიაჩნიათ. ეს შეტად „სენტიმენტალური და ნაზი ბუნების ადამიანები“ მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევად გამოიყურებიან ასე. ისინი ცბიერობენ და ფარისევლობენ ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, კაპიტალის მაგნატების წინაშე, ქედს იხრიან და ემონებიან მას.

„იგი ქადაგებს მართლმსაჯულებას,
კანონს
კომპრომისს და
მოწყალებას“

აი ასეთი შეხედულების პაციფისტი წელში ოთხად იხრება და ზრდილობიანად ესალმება ყოველ გზაჯვარედინზე უსამართლობის მოციქულებს.

პოეტმა ნახა რევოლუციური ძალები ევროპაში, რომელნიც კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით ფხიზლად იცავენ მშვიდობიანობისა და რევოლუციის ინტერესებს. ეს ძალებია შეგნებულნი მუშები და გლეხები. აი როგორ ხვდებიან პარიზელ სტუმრებს ფრანგი გლეხები: პარიზელი ბურჟუები „მოწყენილობაზე ჩივიან“. აი გლეხების პასუხი ყოველი წუწუნისა და გულგატეხილობის წინააღმდეგ:

„თქვენთვის, ქალაქებისათვის
წარმოდგენა ძნელია,
რომ ყოველი გოჯა მიწის
მწარე ბრძოლის ველია.
ო, ნამდვილი ბრძოლის ველი
მძაფრი, დაუცხრომელი,
სადაც თქვენცა და ბუნებას
ცხარედ ებრძვის მშრომელი“.

გლეხობაზე უფრო მეტი გაბედულობითა და დარაზმულობით მუშათა კლასი იბრძვის ყოველგვარი პაციფიზმის წინააღმდეგ, რადგანაც სამართლიანად მიაჩნიათ იგი ომისა და ხოცვა-ჟლეტის ნიღაბად:

„ძირს პაციფიზმი!
ძირს ლალატი!
ძირს ომის ლმერთი!
ხომ სისხლითაა შეღებილი
ველი და ფერდი...
— დემონსტრანტების მთარღვევდა
პროსპექტებს მკერდი!“

წინა დავითაშვილი

(რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი)

მოზონება ლადო მესხიშვილზე

1903 წელს ლადო მესხიშვილი ვენიდან თბილისს დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე მოვიდა ქართულ თეატრში წარმოდგენაზე. იმ საღამოს ვთამაშობდი მეც.

ერთ-ერთ ანტრაქტზე ლადო გამოვიდა კულისებში.

მითხრეს: ლადო მესხიშვილი გეძებს, შენი გაცნობა უნდაო.

შევკრთი: ისეთ დიდ არტისტს, როგორიც ლადოა, როგორ უნდა ველა-პარაკო-მეთქი, და ავერიდე შეხვედრას.

მაგრამ თვითონ მომნახა, გამომკითხა: ვინა ვარ, ან რომელ დავითაშვილის ქალი, გადამისვა თავზე ხელი და ისეთი უბრალოებით დამიწყო ლაპარაკი, შიში სრულიად დამეკარგა.

ბოლოს მითხრა: „ქალო, მერმისს არ წამოხვალთ ჩემთან ქუთაისში?“ მე აღტაცებაში მოვედი. რასაკვირველია, დავთანხმდი.

იმავე სეზონში დრამატიულმა საზოგადოებამ ლადო მორიწვია გასტროლებზე.

აფიშები გაკრულია. თბილისის საზოგადოება მოუთმენლად მოწლის ლადოს ნახვას. წარმოდგენის დღეს ლადოს და დრამატიულ საზოგადოებას უსიამოვნება მოუხდად. დრამატიულმა საზოგადოებამ ლადოს პიესა, „პედაგოგებით“ შესცვალა. საზოგადოებამ აფიშით იცოდა, რომ ლადოს გასტროლი იყო დანიშნული და დიდძალი ხალხი მოაწყდა თეატრს. ფარდის ახდის წინ გამოაცხადეს: ლადო მესხიშვილის ავადმყოფობის გამო პიესა შეიცვალაო. მაყურებლებში ჩოჩქოლი ატყდა. პირველმა მოქმედებამ ჩაიარა. ლადოს გაეგო, რომ პიესის გადადების მიზეზად მისი ავადმყოფობა გამოაცხადეს. ლადო დავმდაბლობასთან ერთად მეტად ფიცხი და ამყიცი იყო, არტისტული თავმოყვარეობის შელახვის ნებას არავის მისცემდა. ეყიდა ბილეთი და მეორე მოქმედების დროს დარბაზში შემოვიდა. ხალხმა დაინახა ლადო სრულიად სალ-სალამათი. ასტეხა ურიაშული. ტაშის ცეშით მიეგებნენ და დიდი ოვაცია გაუშარტეს. მეორე მოქმედების გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. ფარდა ჩამოუშვეს. რამდენჯერმე ისევ ასწიეს, მაგრამ ამაოდ. წარმოდგენა აღარ შესდგა. იმ ხანებში ლადოს აღარ უთამაშნია და ისევ ქუთაისში დაბრუნდა.

სეზონი რომ დასრულდა, მსახიობები ჩვეულებრივ უგზო-უკვლოდ დარჩნენ. შეეცადნენ „ამხანაგობის“ შედგენას. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ დასი ორად გაიყო. ახალგაზრდები ცალკე გავიდნენ. დასი შესდგებოდა ათი ვაჟისა და ერთი ქალისაგან. ჩვენი ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე იმედაშვილი, მან გვი-

თხრა: მოვიწვიოთ ლადო მქსნიშვილი და ცალკე გავმართოთ წარმოდგენებიო.

შევატყობინეთ ლადოს. ფიცხელი თანხმობა მივიღეთ. დაგვინიშნა პიესა „ურთიელ-აკოსტა“. გამოგვიგზავნა როლების განაწილების სია. მალე თვით ჩამოვიდა. მოვიდა ქართულ თეატრის ეზოში. გარს შემოგვხვით.

იმ დროს ერთი ახალგაზრდა მსახიობი უფროს მსახიობებთან იყო დასში. მოვიდა ლადოსთან. დიდის ამბით გაუწოდა ხელი. ლადომ ხელები უკან წაიღო და უთხრა: „მე იმ ახალგაზრდას ხელს არ ჩამოვართმევ, რომელმაც თავის პმხანაგ ახალგაზრდებს ზურგი შეაქციაო“.

ასეთი იყო ლადო, მუდამ ახალგაზრდობას უჭერდა მხარს.

პირველ რეპეტიციაზე ძლიერ მერიდებოდა ლადოსი, მეშინოდა იმასთან როგორ გამებედა თამაში. ლადო მალე მიხვდა ჩემს გაუბედაობას, დამიწყო ლაპარაკი უბრალოდ, გულწრფელად, შიში სრულიად დამეკარგა. ამიხსნა როლი და გამომკითხა: თუ რა მიშლის ხელს. ვუპასუხე: როცა სცენაზე გამოვდივარ, არ ვიცი რა ვუყო ჩემს ხელებს-მეთქი. ლადოს გაეცინა და მითხრა: რეპეტიციებზე სრულიად დაივიწყე, რომ ხელები გაქვს, როლი განიცადე პარტნიორთან დამოკიდებულებაში, და ხელები თავის გზას თვითონ იპოვნინაო. მართლაც რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ ხელები აღარ მიშლიდნენ. და ლადოსაც ისე შევეჩვიე, ასე მეგონა დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. მაშინ ვიგრძენი, რომ ლადო რამდენადაც ბუმბერაზი არტისტი იყო, იმდენად — თავმდაბალი და უბრალო ადამიანი. დიდი და პატარა „ჩვენს ლადოს“ ეძახდა. მართლაც ის იყო ჩვენი ლადო, მეტადრე ახალგაზრდებისათვის. ის იყო ჩვენი მამაც, მასწავლებელიც, უდიდესი არტისტიც.

1904 წელს ქუთაისში ლადომ დასი შეადგინა, რადგან უმრავლესობა ახალგაზრდობა იყო, მოაწყო ლექციები, მოიწვია საუკეთესო მასწავლებლები და კვირაში ორჯერ კითხულობდნენ ლექციებს. თვითონ ლადო მიმიკაზე კითხულობდა ლექციას. გარდა ამისა მისი ყოველი რეპეტიცია იყო პრაქტიკული ლექცია. საკმარისი იყო მისი რეჟისორის სკამზე ჯდომა და სახის მეტყველება გვიჩვენებდა, თუ როგორ უნდა წაგვეყვანა როლი.

ლადო იყო თეატრის ხელმძღვანელი, ლადო იყო: რეჟისორი, მხატვარი, დეკორატორი, კოსტუმერი, რეკვიზიტორი. არავითარი „სუბსიდია“ მას არ ჰქონდა. ნაცვლად გააჩნდა უდიდესი ნიჭი, მხოლოდ ამ ნიჭის წყალობით გაუძღვა ქუთაისის თეატრს 13 წელი.

ზამთრის სეზონი რომ გათავდებოდა, იწყებოდა მოგზაურობა დაბა-ქალაქებში. მოგზაურობის დროს ლადო დიდი მზრუნველობით დასტრიალებდა თავის დასს. ხშირად ეს მოგზაურობა დიდი დეფიციტით თავდებოდა, მაგრამ ლადო სულით არ ეცემოდა და გამოსავალს ყოველთვის პოულობდა. მახსოვს ერთი შემთხვევა ბათომში. ჩამოვხტივით საუკეთესო სასტუმროში. (ლადო ყოველთვის ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, საუკეთესოდ მოეწყო მსახიობები. იცოდა, რომ მსახიობებს ისედაც აღმაცერად უყურებდა საზოგადოება. ამიტომ ცდილობდა, მსახიობების აბუჩად აგდება არავის გაეხებდა). სამი დღის განმავლობაში ბათომში კოკისპირული წვიმა მოდიოდა, წარმოდგენები ვერ შესდგა, დარჩა ლადო უკაპეიკოდ. ლადო ღელავს, არ იცის რა ქნას. მოდიან ლადოს ნაცნობები, ეპატიუებიან, მაგრამ ლადო არ მიდის. ჩვენც ვთხოვთ წასვლას, მაგრამ გვიწყობა: „ასეთ დროს წავიდე და თქვენ მიგატოვოთ? არაა სოდეს“.

არ ვიცით—რა ვქნათ. მხოლოდ ორ ქალს ამოგვაჩნდა ცოტაოდენი ფული: წავედით, ვიყიდეთ ჩაი, შაქარი, პური, ძხვები, ერთი პატარა ბოთლი არაყი, ამოვიფარეთ პალტოების ქვეშ და ისე ავედით სასტუმროში. მოვგროვდით ლადოს ნომერში შეგუჯეთით სამოვარს. შემოვუსხედით მაგიდას. ლადომ მოგვითხრო მრავალნაირი ამბები. ბასი კარგი იცოდა. სხვათაშორის გვიამბო, თუ როგორ ითამაშა პირველად შილერის „ყჩაღებში“ ფრანც მოორის როლი. ისეთი გატაცებით, ისეთი აღფრთოვანებით მოგვითხრობდა, რომ ის ღამე თითქმის სიცილ-ხარხარში გავათენეთ.

მეორე დღეს გამოიღარა. წარმოდგენები ჩავატარეთ. უკანასკნელი წარმოდგენა რომ გათავდა, ლადომ თავისუფლად ამოისუნთქა და სთქვა: „უჰ! რა ლოდი მომეხსნა გულიდან, რადგან ყველასთან პირნათლად გამოვედიო“.

1905 წელს, როდესაც რევოლუცია დაიწყო, ლადო მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ რევოლუციაში. სდგამდა ისეთ პიესებს, რომელიც ხალხის ფიციანობიერებას აღვიძებდა და რაც იმ დროს ძლიერ სახიფათო იყო.

მახსოვს „უან და მადლენა“. პიესიდან ცენზორისაგან რამდენიმე ადგილი იყო ამოღებული. წარმოდგენის დროს ამ ამოღებულ მონოლოგებს ზეპირად ვამბობდით. ერთი ასეთი თამაშის დროს უანდარმთა უფროსი კულისებში ამოვიდა, მოვიდა ლადოსთან და უთხრა: „სცენიდან რაღაც სხვას ლაპარაკობთ“. ლადომ უჩვენა სუფლიორის ეკზემპლარი და უთხრა. „აი, ნახეთ, პიესა ნებადართულია, წარმოდგენას დავამთავრებთ, წაიღეთ, წაიკითხეთ და ნახეთ, რომ აქ აკრძალული არაფერიაო“. უანდარმმა უპასუხა: „მე ქართული არ ვიცი, ვერ წავიკითხავო“.

„თუ თქვენ ქართული არა იცით, მაშინ რა იცით, თუ რას ვამბობთ სცენაზე? ვინც შეგიყვანათ შეცდომაში, იმას მიაკითხეთ, ჩვენ კი ხელს ნუღარ შეგვიშლით. წარმოდგენა უნდა განვაგრძოთო“.

ამ ლაპარაკის შემდეგ უანდარმთა უფროსი სულაც წავიდა წარმოდგენიდან.

ლადო ისე გატაცებული იყო რევოლუციით, რომ თეატრის წინ ბარიკადები მოაწყო. როდესაც უთხრეს: „გაუფრთხილდი შენს თავს, არა დაგემართოს რაო“—მათ გაუწყრა ლადო და უპასუხა: „რეჟისორი მე ვარ და თუ ახალგაზრდობას მე არ უჩვენე ასეთი მაგალითი, მაშ რა უნდა გავაკეთოო“.

მართლაც ლადო ჩვენთვის მაგალითი იყო ყოველთვის და ყველაფერში. ლადოს რეპეტიციანზე არასოდეს არ დაუფვიანებია;

1906 წელს ლადომ სეზონის დასრულების შემდეგ მოაწყო თავისი დასის პირველი გასტროლები ტფილისში. იქირავა ყოფილი არტისტული საზოგადოების თეატრი (ამჟამად რუსთაველის სახელობის თეატრი). საზოგადოება რასაკვირველია, ბევრი დაესწრო, მოწონებაც დიდი იყო, მაგრამ პირველი წარმოდგენის დროს ვიღაცეებს სავარძლების ხავერდი დანით დაეჭრათ და შემდეგი წარმოდგენისთვის თეატრი აღარ მისცეს. ლადომ მაინც მოახერხა და ოპერის თეატრში გამართა სამი წარმოდგენა.

შემდეგ წავედით განჯაში. პირველ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ლადოს დიდი ზემოთ შეხვდნენ, მაგრამ მესამე დღეს, წარმოდგენის მეორე მოქმედების დასაწყისში, ლადომ ფარდის აწევა განგებ დაავიანა, რომ პროკლამაციების გადმოყრისათვის დრო მიეცა. ამ მოქმედებამ მშვიდად ჩაიარა „ახტრაქტში“ კი ვიღაცამ რევოლუციური ისროლა, რომ წარმოდგენისათვის ხელი შეეშალა. მართლაც ხალხი შეშინდა და დაიშალა. წარმოდგენა არ დაგვისრულებია. მეორე დღეს კაცი არ გაკარგებია თეატრს. დასი მშრალზე დარ-

ჩა. ლადომ მოძებნა ნაცნობები, ისესხა ფული, გაისტუმრა დასი, თვითონ კი დარჩა გირაოდ. მისი მეუღლე წავიდა ქუთაისში, დააგირავა ლადოს ბენეფისის საჩუქრები და გაუგზავნა ფული. ლადო განჯიდან დაბრუნებისას დასაფლვით საქართველოში წავიდა, რადგან ვალიც დაედო, ცხოვრება კი თავისას მოითხოვდა. დაგვიბარა ვინც თბილისში ვიყავით, ჩვენც მასწინვე წავედით, მაგრამ ზოგიერთმა მსახიობმა მოუწყო სკანდალი. ჩიოდნენ, თითქოს ლადო არ აძლევდა მათ როლებს, არ აძლევდა შესაფერ გასამრჯელოს და მოითხოვდნენ გარანტიას. ეს უარისმყოფლები, მისი მოწაფეები, მისი გამოზრდილები იყვნენ, გასამრჯელოც სრულად ჰქონდათ მიღებული, არც როლები და ლადოს მიერ მზრუნველობა აკლდათ.

გაიმართა საჯარო გასამართლება, მაგრამ მათდა სამარცხვინოდ ლადო გამართლდა, საზოგადოებამ დიდის ტრიუმფით, ხელში აყვანილი მიაცილა ლადო ბინაზე. მაგრამ ლადოს გული გაუტყდა, გადმოვიდა ტფილისში, აქაც გულცივად დახვდნენ ზოგიერთები. ამ გარემოებამ ცუდად იმოქმედა მასზე და იძულებული შეიქმნა წასულიყო მოსკოვში.

შინაური საღამო-წარმოდგენები 19 საუკუნის
სამოცდაათიან წლებში

(„არტიტული წრე“.)

1867 წელს ნიკო ავალიშვილისა და ვახტანგ თულაშვილის მეთაურობით თბილისში სდგება ახალგაზრდობის ჯგუფი, რომელსაც მიზნად აქვს ქართული თეატრის განახლება და მისი ახალ ნიადაგზე დამკვიდრება. ამ ჯგუფში შედიან: ნიკო ავალიშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ვლადიმერ (ლადო) აბაშიძე, ვანო ელიოზიშვილი, ვასო თარხნიშვილი, ქარუმ ნაცვლიშვილი, იასონ ნათაფე, დიმიტრი ბარამიშვილი, კოტე მაისუროვი, ეგნატაშვილი, ალხაზიშვილი და სხვ.

წრის ორგანიზაციული ჩამოყალიბება და მისთვის სახელის შერქმევა — „არტიტული წრე“, მოხდა 1869 წ. ნოემბერში. ამის შესახებ გავ. „დროება“ წერდა: „წასულ კვირას 23 ნოემბერს შესდგა თბილისში ერთი საზოგადოება, სახელად „არტიტული წრე“, რომლის დანიშნულება ის არის, რომ ხელი გაუმართოქ ადგილობრივ ნიჭიერ არტიტებს-მოსაკრავეებს და რიგიანი დროს გატარების საშუალებაც მისცეს აქაურ საზოგადოებას: ამისათვის ის გამართავს დრო გამოშვებით მუსიკალურ და სხვა გვარ საღამოებსა“. ¹⁾

არტიტული წრე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეტად მძიმე პირობებში. მას არ გააჩნდა არავითარი მატერიალური დასაყრდენი და, რაც მთავარია, მას არ ჰქონდა სცენა და მისი მოწყობილობა. აი, როგორ გადმოგვცემს ნიკ. ავალიშვილი ამ წრის სამოქმედო სარბიელზე გამოსვლის პირველ წლებს:

...„ეს წრე წარმოდგენებს ნემეცების კლუბის სცენაზე მართავდა. ეს იყო 1867-1869 წ. წ. იმ წარმოდგენების დროს ბევრი შავი დღეები უნახავს წრეს. სცენის ათას ნაკლუვანებას გარდა, ბევრი ქირის ოფლი გამოუვლია, მაგალითად, იმ დროს, როდესაც კლუბის გამგენი დარბაზის კარებს ჩაუქეტავდნენ ზოლმე ხალხს, წარმოდგენის დროს, იმ საბუთით, რომ ჯერ ქირა გადაგვიბადეთო: ბევრი რბენა დასჭირდებოდა წრეს ამ ქირის საშოვნელად, რა კი კასაში საჭირო ფული არ აღმოჩენილა“. და ა. შ.

ეს წრე 1870 წელს, ლუარსაბ მაღალაშვილის სახლში აწყობს ფართო ხაზითის შეკრებას, რომელზედაც დგას საკითხი ქართული თეატრის დაარსების შესახებ. შეკრებაზე არჩეულ იქნა კომიტეტი, რომელსაც შინაური წარმოდგე-

¹⁾ „დროება“. 1869 წ. №48.

ხების შემოსავლის, საზოგადოებრივი დახმარებისა და მსგავსი საშუალებებით უნდა მოემზადებინა პირობები ქართული თეატრის შექმნისათვის.

პირველ კომიტეტში არჩეულ იყვნენ ნიკ. ავალიშვილი, ვახტ. თულაშვილი და ანტონ ფურცელაძე, მაგრამ ამ კომიტეტის წევრობას შემდეგში არ ასცდენია თითქმის არც ერთი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე. 1870-1880 წლებში სხვადასხვა დროს კომიტეტის შემადგენლობაში, გარდა დასახელებული პირებისა, შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმ. ყიფიანი, კონსტ. მამაცაშვილი, გ. თუმანიშვილი, დავით ერისთავი, იოსებ ანდრონიკაშვილი, იოსებ ბაქრაძე, გ. ქართველიშვილი და სხვა.

არტისტული წრის მოღვაწეობა კერძო ბინებით დაიწყო. 1867-1869 წლებშიაც კი, როცა იგრ წარმოდგენებს გერმანელების კლუბში მართავდა, რეპეტიციების წარმოება მაინც დიმ. ყიფიანის, გიგო ორბელიანის, დარია შალიკაშვილის, კოლა ხერხეულიძისა და სხვათა ბინებზე უხდებოდა. ეს რეპეტიციებო იგივე წარმოდგენებიც იყვნენ ამავე დროს, ხოლო 1870 წლიდან ეს წრე თითქოს მთლიანად სტოვებს კიდევ ამ კლასებს და მისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი გადატანილია კერძო სახლებში, ბინებზე.

„ახლა, — წერს ნ. ავალიშვილი, — საქმე საყმაწვილო წარმოდგენებით დაიწყო. შესაფერი პიესების დამწერიც თავისივე წრეში აღმოუჩნდა, ეს იყო თავასო თარხნიშვილი. ამ წარმოდგენებზედ ადგილების ფასები მეტად მცირე დანიშნა და იმ მცირე შემოსავალსაც ისევ მაყურებელთა გამასპინძლებაზედ ჰხარჯავდა. ამისთანა წარმოდგენები სამი იყო: კნ. დარია შალიკაშვილის სახლებში (ავჭალის ქუჩაზე) და მიხ. ყაზაროვის სახლებში (ნიკოლოზის ქუჩაზედ). შემდეგ ჩვეულებრივი პიესები მიაყოლა. ესეთი წარმოდგენები ექვსო იყო: იმავე ყაზაროვის სახლებში, ფეოდოროვის სახლებში (გოლოვინის პროსპექტი), ანდრონიკაშვილის სახლებში (საპერნის ქუჩაზე), არჩილ მუხრანბატონის სახლებში (მუხრანიანთ ქუჩაზე). ყველა ამ წარმოდგენებს აბოლოვებდა ცეკვა-ტანცაობით და ამ ხერხმა, ცოტა არ იყოს, საზოგადოება შეაჩვია თეატრში სიარულსა და როლების აღმასრულებელი ქალებიც შესძინა.“²⁾

არტისტული წრე, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომელიც მას ყოველ ნაბიჯზე წინ ეღობებოდა, დღითიდღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა. ეს წრე მის დაარსებული კომიტეტით იყო ის დასაწყისი, რომელზედაც შემდეგში აღმოცენდა მუდმივი ქართული სცენა და „ქართული დრამატიული საზოგადოება“. ეს აიღვედა საფუძველს ნიკ. ავალიშვილს, რომ 1900 წ. ქართული თეატრის 50 წლის დღესასწაულზე დამსწრეთათვის მიემართა: „ეხლანდელი“ ქართული დრამატიული საზოგადოებაც, „რომლის საგანგებო კრებას დღეს პატივი ეცით და მობრძანდით, 1870 წელში დაფუძნებულ კომიტეტის მკვიდრი შვილია, იმის ნიადაგზედ ამოსულია“.

„არტისტული წრე“ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში თბილისში მოწყობილ ყველა შინაურ საღამო-წარმოდგენების სულის ჩამდგმელია, გარდა უმნიშვნელო გამოჩენილებისა, თუ ასეთი შეიძლება სადმე მომხდარიყო.

1868 წლის დამდეგს „არტისტულმა წრემ“ დასადგმელად მოამზადა აკაკი წერეთლის კომედია „ძველსა და ახალს შუა“. ეს წარმოდგენა საინტერესოა

²⁾ ნიკო ავალიშვილი — „ქართული თეატრის მოკლე ისტორიული მიმოხილვა (1855-1900)“. მოხსენება 1900 წ. იანვრის 2-ს ქართული თეატრის 50 წლის დღესასწაულზე. „ივერია“ 1900 წ. № 5-7.

იმ მხრივაც, რომ იგი პირდაპირ ადასტურებს ნ. ავალიშვილის სიტყვებს წრის ხელმოკლეობისა და სიძნელეთა შესახებ.

განზრახული ყოფილა, რომ ეს პიესა დადგმული ყოფილიყო გერმანელების კლუბში. ამის შემდეგ გაზ. „დროება“ იუწყებოდა: „მომავალ კვირაში, ყველიერში წარმოსდგება ნემეცის კლუბში ქართული კომედია „ძველსა და ახალს შუა“, თხზულება თ. აკაკი წერეთლისა“³⁾.

მაგრამ, როგორც სჩანს, წრემ ვერ დაამყარა საჭირო შეთანხმება კლუბის მებატონეებთან და იძულებული გახდა წარმოდგენა კერძო ბინაზე გადაეტანა. „ძველსა და ახალს შუა“ წარმოდგენილ იქნა არჩილ მუხრანბატონის სახლებში 1868 წ. თებერვლის 9-ს.⁴⁾

1869 წლის თებერვალ-მარტში არტისტული წრის მიერ ჩატარებული იყო ორი შინაური წარმოდგენა. პირველზე წარმოდგენილი იქნა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ და „ძუნწი“, ხოლო მეორეზე მარტის 2-ს, ზ. ანტონოვის — „მე მინდა კნენა გავხდე“ და მოლიერის კომედია „ცოლის შერთვიენება“ — თარგმანი დ. ყიფიანისა.

ეს წარმოდგენები საკმაოდ კარგად ჩატარდნენ და, როგორც ქვევით დავიხაზავთ, მასურებელთა ქებაც დაიმსახურეს, მაგრამ წარმოდგენების მცირე შემოსავალმა არტისტული წრე ცოტათი კიდევ დააზარალა. პირველ წარმოდგენაზე შემოსავალი ყოფილა 221 მანეთი, გასავალი კი 178 მანეთი და 95 კაპეიკი, ამრიგად დარჩენილა ნაშთი 42 მანეთი და 05 კაპეიკი. მეორე წარმოდგენაზე შემოსავალი ყოფილა 134 მანეთი და 10 კაპ. გასავალი—155 მან. და 90 კაპ. ამრიგად წრეს ვალად დასდებია 21 მან. და 80 კაპ.⁵⁾ მეორე წარმოდგენის ეს დავალიანება შეიძლებოდა დაფარული ყოფილიყო პირველის ნაშთით (42 მან. და 05 კაპ.), მაგრამ თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ პირველ და მეორე წარმოდგენაზე 38 მანეთის ბილეთი გაცემული იყო ნისიად. და განაღდებაზე არავინ ფიქრობდა, ნათელი გახდება, რომ წრე საბოლოოდ ვალში რჩებოდა, ამიტომაც იყო ნიკ. ავალიშვილი, რომ ამბობდა: „მარჯუნა ხელს არა ერთხელ უგვრძენია ცუდი მდგომარეობა, რომ მარჯვენა ხელისათვის დიდი გაჭირვებით მიუცია წარმოდგენისაგან დარჩომილი ვალებში დასარიგებელი ფულებიო“.

დასახელებული წარმოდგენები ფართო მასურებელმა მეტად გულთბილად მიიღო. მათ შესახებ ბევრი ითქვა და საკმაოდაც დაიწერა, მაგრამ „დროების“ ერთერთი კორესპონდენტი მაინც ამ წარმოდგენებს პირდაპირ ალტაცებაში მოჰყავდა. მას იზიდავდა არა მარტო ქართული პიესები, არამედ იგი ალტაცებული იყო აგრეთვე ქართული მუსიკითაც, რომელიც ამ წარმოდგენებს თან ახლდა. ეს სტატია ჩვენთვის მრავალმხრივ არის საინტერესო. გარდა იმისა, რომ ის არის პირველი ვრცელი მიმოხილვა ქართულ წარმოდგენებისა ამ ეპოქაში, იგი ამავე დროს თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც ეხება მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებს მაშინდელი ქართული თეატრისა.

³⁾ „დროება“. 1868 წ. № 5.

⁴⁾ „დროება“. 1868 წ. № 6.

⁵⁾ ნ. ავალიშვილი — „ქართული წარმოდგენა თბილისში და საზოგადოებრივი მდგომარეობა აწინდელი ქართული წარმოდგენებისა“ იხ. უურნ. „მნათობი“ 1869 წ. მარტი.

„წლევანდელის ყველიგრში, — წერდა კორესპონდენტი, — წარმოსდგა ორჯერ ქართული თეატრი ქართულის სცენის მოყვარეთაგან. ვიდრე არ მენახა ეს წარმოდგენები, მეგონა ვერ წავა რიგზედა მეთქი. ამ აზრზედ უფრო ის მამკვიდრებდა, რომ პირველათ უნდა წარმომდგარიყო სცენის მოყვარეთაგან, ე. ი. გაუვარჯიშებელთ აკტიორებისაგან და მეორე უადგილო ადგილას, როგორც იყო ნემეცების კლუბი—პატარა, უდეკორაციოდ და ყოვლის მხრით უხერხო. ამიტომაც არ ვაპირებდი წასვლას თეატრში. მერე რაღაც შემთხვევამ მოიტანა და დავესწარი წარმოდგენას, რომელმაც ჩემი უწინდელი აზრი იმაზედ უმაღლვე დაჰკარგა. ისე საუცხოვრით შეერჩიათ როლები და ისე მშვენივრად არდგენდნენ, რომ სრულებით ნამდვილს ემსგავსებოდა. უფ. ა. სუქიასინი „გაყრაში“ და „მე მინდა კნენა გავხდეში“ მშვენივრად თამაშობდა სომხის როლს; იმისი ყოველი სიტყვა არ იკარგებოდა: ყველას საერთო სიცილი და ტაში მოჰსდევდა, სჩანს, რომ უფ. სუქიასინს აქვს ტალანტი სცენისა. კიდევ საუცხოვროდ ითამაშეს „ძუნწში“ იმედის როლი (ხოსია მელაძემ) და „გაყრაში“ პავლეს როლი. შესანიშნავი იყვნენ აგრეთვე ივანეს როლში უფ. ი. ბერიძე და პანკრასისაში უფ. ავალიშვილი. არ შეიძლება მოუხსენებლივ შემდეგი როლებიცა: ილიკოსი, დავით კნიაზისა, თუმცა სხვა როლებიც არ იყვნენ ცუდად წარმოდგენილნი. ეს იყო სასიამოვნო კიდევ ამ ბოლონდელი თეატრების, რომ ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა სიამოვნებით წარმოდგენაში, ასე რომ თურმე ეცილებოდნენ კიდევცა ერთმანეთს. იმათ სრულებით დაავიწყეს უცხო ენებზე წარმოდგენილი ოპერები, ასე რომ ტაში არ გაუწყვეტიათ და დიდის სიამოვნებითაც უყურებდნენ. მაინც ყოველთვის ასეა: როდესაც კაცი იმისთანა რასმეს ხედავს, ან ისმენს, რომელშიაც სამშობლო ხმა ისმის, როგორათაც განსაკუთრებით სიამოვნებას მიეცემა და გულიც სიამოვნებას გრძნობს.

განსაკუთრებით მოეწონა პუბლიკას ჩვენებური საკრავები ანტრაქტებში: ის ერთი ბეწო ზალა, რომელშიაც იყო წარმოდგენა, ისე გატენილი იყო ხალხითა, როგორც წარმოდგენის დროს, აგრეთვე ანტრაქტებში და დიდის სიამოვნებით უგდებდნენ ყურს საკრავებსა. არც სიცხეს, არც სიმჭიდროეს, არ დაერიდნენ. მაგრამ ეს არის საკვირველი, რომ ევროპიულს მუსიკას რაღათა ხმარობენ ხოლმე ანტრაქტებში ქართული წარმოდგენის დროს? ხომ ცხადია, რომ ჩვენებური უფრო კარგად გვაძლევენ ხმას ჩვენი გულის ტანჯვაზე, სიხარულზე და სხვ. და ეს უფრო მოსაწონი არ იქნებოდა ჩვენთვის? ან რითი არის ჩვენი მუსიკა ნაკლები ევროპულს მუსიკაზე? რამდენი სინაზე, მელოდია და აზრი დევს იმაში! მერე მელოდია ჩვენებური! მაგრამ ეს ოხერი სხვათა მიბაძვა ღუპავს ხალხს! უთუოდ ევროპიული უნდა გვქონდეს ანტრაქტებშიო; ეს უფრო წესიერი და მიღებულია მაღალ ხალხშიო. მაღალი ხალხი... ფრანცი-ცული ენაც არის მიღებული მაღალ ხალხში, მაშ რატო სიტყვებსაც ფრანცი-ცულად არ გადავთარგმნით, რომ უფრო წესიერი და მაღალ ხალხში მიღებული ყოფილიყო. მაგრამ მაღალი ხალხის სურვილს არ მიჰყოლოდნენ წარმომდგენნი და დაენიშნათ ჩვენებური საკრავები. ამ საკრავებმა თეატრს სულ ქართული ხასიათი მისცეს, ასე რომ რაღაც ფანტასტიკურს მეჯლიშს დაემსგავსა.

ერთის სიტყვით წელს ქართული თეატრი ძალიან წარმატებით წარმოსდგა; პუბლიკაც და ავტორებიც სიამოვნებით დარჩნენ“ და სხვ. ⁹⁾

⁹⁾ „ღრობა“. 1869 წ. № 11. „ქართული თეატრის წარმოდგენა თბილისში“.

ასე აფასებდა ამ წარმოდგენებს გაზ. „დროების“ კორესპონდენტი, მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ შეფასებას მხარს არ უჭერდა ამ წარმოდგენების სულის ჩამდგმელი ნიკ. ავალიშვილი.

ნიკ. ავალიშვილი თავის სტატიაში „ქართული წარმოდგენა თბილისში და საზოგადო მდგომარეობა აწინდელი ქართული წარმოდგენებისა“ მკაცრად აკრიტიკებდა ამ შეფასებებს. იგი თავს ესხმოდა რეცენზენტებს იმის გამო, რომ მათ ჩატარებული წარმოდგენები ერთობ უნაკლოდ გამოაცხადეს, ერთხმად მოიწონეს.

„ჩვენის აზრით, — წერდა ნ. ავალიშვილი, — ხსენებული სტატიების მწერალნი, იმ განზრახვით იხსენებენ კარგად თავიანთი ნახულს (თუ არ ნახულს) ქართულ წარმოდგენას, რომ მით გაუკეთონ წარმოდგენლებს გული და წააქეზონ კვალად წარმოდგენაზედ, ხოლო საზოგადოებასაც კარგად უჩვენებენ, რომ ისიც ყოველთვის დაესწროს წარმოდგენაზე. ეს კარგი განზრახვაა, მაგრამ ჩვენდა, საუბედუროდ, როგორც ვიცით, ამ გვარ მწერლების გულკეთილობას ქართული წარმოდგენისათვის აქობამდე სრულებით ვერა ურგია რა და არცა გვეგონა თუ ან კვლავ უშველოს რამე. ჩვენის აზრით, ქართული წარმოდგენები მაშინ იწარმოებენ კარგად, როდესაც ყველა წარმოდგენისათვის საჭირო მოთხოვნილებანი აღსრულდებიან და ყველა მისი გარემოება ჯეროვნად მოწყობილი და მოხერხებული იქნება, — და არა მაშინ, როდესაც ტყუილად იქება და იდიდება და განზრახვით დაიფარება მისი ნაკლუვანებანი (თუნდა ეს განზრახვა კეთილიც იყოს)“.⁷⁾

ნიკ. ავალიშვილის აზრით, ჩატარებული წარმოდგენების სუსტი მხარეები ამ დროს ჩატარებულ ქართულ საღამო-წარმოდგენებს აქვთ, მაგრამ იცნობს რა მათს, როგორც დადებითს, ისე სუსტ მხარეებს, იგი არ მოითხოვს ქება-დიდებას. პირიქით, ნ. ავალიშვილი ჩატარებულ წარმოდგენებს თითქმის სუსტად აფასებს, რასაც სამართლიანად ხსნის შესაფერი ადგილისა და სასცენო მოწყობილობის უქონლობით.

ნიკ. ავალიშვილის აზრით, ჩატარებული წარმოდგენების სუსტი მხარეები კი არ უნდა მიიჩქმალოს, არამედ ის უნდა გაიგოს ხალხმა, რომ ისიც დაინტერესდეს მათი გაუკეთებისათვის. „თუ ჩვენ, — წერს ნ. ავალიშვილი, — საზოგადოებას არ შევატყობინეთ ჩვენი სცენის მდგომარეობა და არ ვაჩვენეთ ის მიზეზები, რომლისა გამო სუსტად მრდის ქართული წარმოდგენები, ჩვენ რა გზით უნდა გვქონდეს იმედი მისი წარმატებისა? ჩვენ ქართული წარმოდგენები, ან როგორც ქართველები ხმარობენ — ქართული თეატრი, მიგვაჩნია საზოგადო საქმედ; ამის გამო ყოველთვის უნდა გამოვააშკარავოთ საზოგადოების წინაშე ის უხერხული გარემოებანი, რომელნიც სუსტად აწარმოებენ მას, როგორც საზოგადო საქმეს ანუ დაწესებულებას და აბრკოლებენ მის წარმატებას“.

იხილავს რა ქართული წარმოდგენების სუსტ მხარეებს, ნ. ავალიშვილს მათ მიზეზად, სრულიად სამართლიანად, მიაჩნია ის მძიმე პირობები, რომელშიც იმ დროს იმყოფებოდა „არტიტული წრე“. მას სჯერა, ეს წარმოდგენები გაცილებით უკეთესნი იქნებოდნენ, რომ მათი რეპეტიციები სცენაზე წარმოებულყო, მაგრამ ამის საშუალება მათ არ გააჩნიათ. ისინი კლუბში მხოლოდ წარმოდგენის დღეს შედიან.

7) უფრ. „მნათობი“. 1869 წ. მარტი.

ამავე სტატიაში ნ. ავალიშვილი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ქართული წარმოდგენები ჯერ-ჯერობით მიჩნეულია, როგორც სასხვათაშორისო საქმე და მოითხოვს მის გადაქცევას სერიოზულ და სპასუხისმგებლო მოვალეობად ყველა მოწინავე ქართველისათვის.

1870 წლის ნოემბრის 23-ს თბილისში, ჩითახოვის სახლებში, მორიგი შინაური წარმოდგენა იყო. დადგმულ იქნა გ. ერისთავის კომედია „ძუნწი“, რაფიელ ერისთავის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ვოდევილი — „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და ილია ჭავჭავაძის — „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“. ეს შინაური წარმოდგენა დიდის წარმატებით ჩატარდა და დიდი შთაბეჭდილებაც დატოვა მსყურებლებზე.

„სცენების“ დადგმამ ისედაც დიდი ავტორი კიდევ უფრო საყვარელ და მიმზიდველ ადამიანად აქცია ფართო წრეებისათვის. აი რას წერდა ამ შინაური წარმოდგენისა და „სცენების“ შესახებ გაზ. „დროება“.

„...23 ნოემბერს, მესამე შინაური წარმოდგენა იყო გალავინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლებში. ამ შენიშვნის დამწერი ამ უკანასკნელ წარმოდგენაზე დაესწრო და ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილებაც გამოიტანა; როგორც შევატყვეთ, სხვებმაც სიამოვნებით გაატარეს იქ დრო“, — წერდა „დროების“ კორესპონდენტი.

„ძუნწი“ და „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ რამდენჯერმე უნახავს სცენაზე ჩვენს საზოგადოებას. უფ.-***-ის (ილია ჭავჭავაძის. ა. მ.) „სცენების“ ნახვა კი პირველი იყო და, მართალი გითხრათ, მე არ მეგონა თუ წარმოსადგენად იგარგებდნენ ეს მშვენიერი „სცენები“, რადგანაც თეატრისათვის არ არიან დაწერილნი. მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოთ, მე მოვტყუვდი: თითქმის ყველა პიესებზე მომატებული ყურადღება ამას მიაქცია საზოგადოებამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი მართო ის კი არ იყო, რომ ამ „სცენებს“ პირველად ხედავდა ჩვენი საზოგადოება. „სცენებს“ არა აქვს, მართალია, სცენური მოძრაობა, სასცენო ეფექტი, მაგრამ მის ნაცვლათ ყოველი სიტყვა მომქმედებელი პირებისა და ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა თვით ნამდვილი ცხოვრებიდან გამჭირახე თვალთ არის შენიშნული და ხელოვნური კალმით. აი, ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ „სცენები“ ასე მოეწონა საზოგადოებას“. 8)

მოტანილი ამონაწერით ნათელი ხდება თუ როგორ მიიღო მსყურებელმა დიდი მწერლის მიერ გლეხთა დუხჭირი ცხოვრებიდან ამოღებული „სცენები“, თუმცა რა თქმა უნდა, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას კორესპონდენტის აზრი იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის „სცენებს“ არ ჰქონდეს „სცენური მოძრაობა“ და „სასცენო ეფექტი“, როგორც ამას იგი ერთ ადგილას შენიშნავს.

1870 წლის დეკემბრის 23-ს ე. ი. ილიას „სცენების“ დადგმიდან ერთი თვის შემდეგ კვლავ ჩატარდა შინაური საღამო-წარმოდგენა, სადაც წარმოდგენილი იქნა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ და სხვა, მაგრამ ამ საღამოს განმასხვავებელ ნიშნად „დროების“ კორესპონდენტს მაინც მიაჩნდა, რომ აქ ადგილი ჰქონდა ლიტერატურულ გამოსვლებს.

„ამ ვეჩერში, — წერდა რეცენზენტი. — საკმაოდ კარგად წარმოდგენილ იქნა „გაყრა“ და უფრო მხიარულად გაატარეს დრო იქ მყოფთა, ვიდრე წინათა ამის მიზეზი ის იყო, რომ პიესა ერთი წარმოდგენის და ანტრაქტებში ორი-

8) „დროება“. 1871 წ. № 1.

ოდგ ლექსები წაიკითხეს: „იანის ჩარა“-ისა, „საშინელი სიზმარი“ ფალერსლფ-შენის მიბაძვა ანტ. ფურცელაძისა, ნაწყვეტი გრიგ. ორბელიანის ახალის ლექსებისა „სადღეგრძელო“. 9)

1871 წლის იანვარში თბილისის გუბერნიის მარშლის რევაზ ანდრონიკა-შვილის სახლში ზედი-ზედ ორი შინაური წარმოდგენა გაიმართა. პირველი მოხდა თანერის 25-ს და წარმოდგენილი იყო „ძალად ექიმი“ — მოლიერისა და „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ — ზურაბ ანტონოვისა. მეორე კი იანვრის 29-ს და წარმოადგინეს იგივე „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და „გაყრა“ — გ. ერისთავისა¹⁰⁾.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში შინაური სალამო-წარმოდგენების წინაშე გარკვეული მოთხოვნილებები ყოფილა წაყენებული. თუ წინათ იგი შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ახლა უფრო ერთგვარ კალაპოტში უნდა ჩამდგარიყო და მათ მუშაობას ორგანიზაციული ხასიათი მისცემოდა.

პეტრე უმიკაშვილი, რომელიც არჩევს ერთერთ შინაურ წარმოდგენას, პირდაპირ ამბობს: „ამ გვარი ვეჩერები ევროპაში და რუსეთში დიდი ხანია შემოღებულნი არიან და აქვთ მრავალი სასარგებლო მხარე. ჩვენში ეს ევროპიული ჩვეულების შემოღება და გავრცელება დიდათ სასურველია, ნაყოფი მრავალი იქნებაო“.

პ. უმიკაშვილი მუხლობრივ ჩამოთვლის იმ დადებით შედეგებს, რომელიც ამ მოძრაობას უნდა მოჰყვეს. ეს შემდეგ ასეთი უნდა იყოს:

პირველი. „ქორების და ცუდ-უბრალო ლაპარაკის შაგიერათ-მსჯელობას დაღვიწყებთ ჩვენს საქციელზე და ჩვენის ხასიათის გამშვენიერებაზე“.

მეორე. „ჩვენ უფრო მჭიდროთ დავახლოვდებით ერთმანეთთან. ეს დაახლოვება ლოტოსთვის და ქალაღდის თამაშისათვის კი არა, არამედ კჳუის სასწავლებლის საქმისათვის, სპექტაკლისათვის, შეგვაჩვენებს ერთად კეთილი საქმის გაკეთებას“.

მესამე. „ეს წარმოდგენები შინაურობაში გაავრცელებენ ქართული სცენის პატივისცემას და სიყვარულს; ამ სახით მაშასადამე ქართულს სცენას და ჩვენს ოჯახებს ერთმანეთს შეაკავშირებენ, დაახლოვებენ, დაამოყვრებენ... ამ მხრით ქართული თეატრის საქმე წინ წავა თვითონვე საზოგადოების მეცადინეობით და დახმარებით. რაკი ქართული სცენის საქმე წინ წაიწევს, რასაკვირველია, ლიტერატურასაც წარმატება მიეცემა! გამოჩნდებიან პიესების მწერლები და ჩვენს ღარიბ რეპერტუარს გაამდიდრებენ“:

დასასრულ, პ. უმიკაშვილი აჯამებს შეკრებათა ამ ღიზსებებს და ერთ სთლიან, ეპოქისათვის დამახასიათებელ დებულებას იძლევა „მოკლეთა ვთქვათ, — დასკვნის პ. უმიკაშვილი, — რამდენი სარგებლობა მოგვეცემა ამ შინაური წარმოდგენებისაგან: ჩვენ ხელს აგვადებიანებს ცრუპენტელა დროს გატარებაზე, ქალაღდის თამაშობაზე და ჳორიკანობაზე; შეგვაჩვენებს მსჯელობას და ჳაზრიან ცხოვრებას მოგვაფიქრებინებს; შეგვაჩვენებს ერთმანეთის დახმარებას და შეგვეერთებს საზოგადო კეთილის საქმისათვის; ბოლოს ჩვენს ქართულ სცენას და ლიტერატურას შეგვაყვარებს და შემწეობას მოუპოვებს საზოგადოების მხრითა. 11)

9) „დროება“, 1870 წ. № 47.

10) „დროება“, 1871 წ. № 4.

11) პ. უმიკაშვილი — „ქართული შინაური თეატრი“. დროება, 1870 წ. № 34.

ასე ფართო ამოცანები დაუსახა შინაურ წარმოდგენებს პ. უმიკაშვილმა. პ. უმიკაშვილის ეს მოთხოვნა სრულიად დროული პასუხი იყო ეპოქისადმი. დამპყრობელი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მოითხოვდა ქართული ენისა და კულტურის გადარჩენას. ქართველი ხალხის მობრუნებას ამ მოძრაობისაკენ, როძელშიც შინაურ შეკრება-წარმოდგენებს ფრიად საპასუხისმგებლო როლი უნდა შეესრულებინათ.

სამოციანი წლების ლიტერატურულ შეკრებებს და შინაურ საღამო-წარმოდგენებს, ამავე ხანებში, ერთგვარი შეფასება მისცა ცნობილმა სერგეი მესხმა თავის სტატიაში „თბილისის დროის გასატარებელი ადგილები და ქართული თეატრი“.

ს. მესხის ეს სტატია განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი იძლევა ნათელ წარმოდგენას ამ საღამო-წარმოდგენების მაცურებელთა ძირითადი მასის სოციალური ბუნების შესახებ. ს. მესხის მოწმობით „ყველა ამ ადგილებში ეგრედ წოდებული საზოგადოების „მოწინავე“ და შემძლე პირები დაიარებიან და ატარებენ დროსა“.

„როდესაც ამისთანა დროს გასატარებელ ადგილებზე, ლაპარაკობენ, — სამართლიანად უენიშნავს ს. მესხი, — უბრალო ხალხი არასოდეს არა ჰყავთ მხედველობაში. ჩვენ უბრალო ხალხს ამჟამად მხოლოდ ერთი „ორთაქალის“ ბაღი დარჩენია, სადაც იმას თავისუფლად შეუძლია ჩაითრიოს კახური ღვინითა და ამას გარდა ათასში ერთმა იქნება აიღოს თეატრის ბილეთი და რაიოკში წავიდეს, უფრო ხშირად იტალიურ ოპერაზე. ერთი სიტყვით, ჩვენს უბრალო, მუშა ხალხს, თუ არ სამიკიტნოები, სხვა ადგილი არ მოეძებნება დროს გასატარებლად, და ვინ იცის, შემდეგში როდის მოესწრობა ის ამისთანა ადგილს“.

ს. მესხი, ამავე სტატიაში, პირდაპირ აყანებს საკითხს მულდმივი ქართული დასისა და თეატრის შექმნის შესახებ, ავტორი ხაზს უსვამს, რომ „ქართული სცენის მოყვარულთა“ წარმოდგენები ვერ აკმაყოფილებენ მაცურებელს. გაიზარდა მაცურებელთა მოთხოვნილება, დღითი დღე იზრდება მათი რიცხვიც და საჭიროა ამას ანგარიში გაეწიოს.

„ეხლა ჩვენ უნდა დავანებოთ თავი ამგვარ წარმოდგენებს, — წერს ს. მესხი, — და მულდმივი ტრუპების შედგენას უნდა შევუდგეთ. ამ „მოყვარულების“ წარმოდგენას ბევრი დრო, ხარჯი და წვალება უნდა და სარგებელი კი, ღმერთმანი იმდენი არ არის რა არც მატერიალური და არც ზნეობითი. შაშ ისევ მყოფად ქართულ-სომხური ტრუპა! თუ ქართულ თეატრს რაიმე სარგებლობა მოტანა შეუძლია ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებისათვის (იმედია, ამაში არავის არა აქვს ახლა ეჭვი) — ისევ ამ მულდმივი ტრუპისა და რიგიანად თავ-თავის დროზე გამართული წარმოდგენების საშუალებითა და არა სხვაფრივ. ¹²⁾

ს. მესხის ეს მოთხოვნა, ქართული თეატრისა და მულდმივი დასის შექმნის შესახებ, მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში შესრულდა ილია ჭავჭავაძის, დიმ. ყიფიანის, აკ. წერეთლისა და სხვათა ინიციატივით.

¹²⁾ „დროება“, 1872 წ. № 28.

გადაეცა წარმოებას 1/VI 38 წ. ხელმოწერილია დასაბეჭ. 20/VI 38 წ. 4 ფორმა-ანაწყ. ზომა 6 X 10. ქალ. ზომა 60 X 72. მთავლიტის რწმუნებულის № 3174. შეკვ. № 1252. ტირაჟი 6500.